ფასიანი ბარათი. | პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ყოველდღიური გაზეთი

# კომუნისტი

თბილისი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, კრუზენშტერნის ქუჩა, № 4. ტელეფონები: ხელმძღვანელისა 14—76, სტამბისა—79.

რედაქცია ღიაა ყოველ დღე დილის 10-დან 1 ს. კორესპონდენციები და მასალები მიიღება მთელი დღე.

კვირა 19 ივნისი 1921 წ.

№ 88 საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტის და საქართვ. რევ.-კომიტეტის ორგანო. № 88

## პარტიული მუშაობა ჩვენში

დღეს თბილისში გაიხსნება პარტიული ცენტრალური სკოლა.

ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი პარტიული განათლების სათავეში თვით სახელმწიფო დგება. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი რესპუბლიკის ერთ სახელმწიფოებრივ იარაღთაგანს შეადგენს პარტიული სკოლა, ვინაიდან დღეს ჩვენში სახელმწიფოს მმართავს და ხელმძღვანელობს კომუნისტური პარტია.

ძველი დრო და პირობები, როცა ეს პარტია იძულებული იყო თავისი იდეები და სწავლა ბნელ სარდაფებში გადაეტანა და იქ სიკვდილ-ტყვეობის შიშით ეწარმოებია თავისი პარტიული პროპაგანდა, სამუდამოთ გაჰქრა!

დღეს იგი მზათაა მთელი თავისი პარტიული და სახელმწიფო ძალის დიდი ნაწილი ამ საქმეს მოანდომოს; და ეს ახე მოხდა და ხდება ყველა არსებულ საბჭოთა რესპუბლიკებში. საბჭოთა რუსეთის ბიუჯეტის, მაგალითად, უდიდესი ნაწილი სახალხო განათლებას ხმარდება. და ეს განათლება არის სწორეთ ის პარტიული განათლება, რომელსაც ცეცხლითა და მახვილით ებრძოდენ წინადროების ყველა სახელმწიფოები და ახლანდელი დროის ყველა ბურჟუაზიული მთავრობები. სკოლას ბურჟუაზიული სახელმწიფოც დიდ ყურადღებას აქცევს, რომ ეს ძლიერი იარაღი თავისი კლასობრივი ინტერესებისათვის გამოიყენოს, მაგრამ ის იძულებულია ერთი მხრით, რომ თავისი ბიუჯეტის დიდი ნაწილი ხალხის განათლებას კი არა, არამედ სამხედრო, მილიტარისტულ საჭიროებას მოახმაროს, მეორე მხრით თვით სკოლა შეზღუდოს, რომ მეცნიერული განათლება მისდა საზარალოთ ხალხის ფართე მასსებს არ მოედოს და ისინი არსებულ ბურჟუაზიულ წყობილების წინააღმდეგ არ აამხედროს.

საბჭოთა რესპუბლიკებისათვის, მუშურ-გლეხური მთავრობებისათვის ასეთი საშიშროება არ არსებობს და არც მილიტარისტული, არც სამხედრო აგრესიული მიზნები აქვს მას; პირიქით მისი ინტერესია, რომ მშრომელმა ხალხმა, რაც შეიძლება ვრცელი კომუნისტური განათლება მიიღოს, რომ მან სათანადოთ შესძლოს სახელმწიფოს გაუძღვეს და თავისი კლასობრივი მიზნის განმახორციელებელ იარაღათ ნაყოფიერათ გამოიყენოს იგი.

ამნაირათ პარტიული სკოლა ისე, როგორც სხვაგვარი სკოლა სახელმწიფოებრივ დანიშნულებას ასრულებს და სახელმწიფოს ერთ-ერთ ორგანიზაციას წარმოადგენს.

მაგრამ პარტიული სკოლა არაა ჩვეულებრივი სკოლა, ის დიდათ განსხვავდება სხვა გვარი სკოლებისაგან.

პირველი და მთავარი განსხვავება იმაშია, რომ იგი ამზადებს იდეიურათ ჩვენი რესპუბლიკის ავანგარდს.

ამ სკოლის კურს დამთავრებული არა მარტო პარტიის უბრალო წევრია, არამედ ის მომზადებულია იმისთვის, რომ სახელმწიფოს ყოველგვარ დარგის დაწესებულებას შეგნებულათ ემსახუროს და შეძლებისდა გვარათ იდეური ხელმძღვანელობაც გაუწიოს მას.

ამით აიხსნება ის, რომ ჩვენს რესპუბლიკაში პარტიული სკოლა იმავე დროს საბჭოთა სკოლაც არის. საბჭოთა რუსეთის პრაქტიკამ ამ დარგში უკვე შეიმუშავა ტიპი ასეთი შერეული სკოლისა, რომელთა რიცხვი იქ მეტათ მრავლობს თითქმის ყოველ მაზრასა და რაიონში არსებობს. ჩვენ ჯერ შორსა ვართ ასეთ მიღწევაზე, მარა მიზანი კი აქედანვე უნდა დავისახოთ, რომ ჩვენც დროზე გვქონეს ასეთი შერეული ტიპის სკოლა, ხოლო მანამდე ჩვენ იძულებული ვართ დღეს დღეობით დავკმაყოფილდეთ დღეს გახსნილი პარტიული სკოლით.

ამნაირათ ეს სკოლა ჩვენთვის მეტი მნიშვნელობისაა, ვიდრე ასეთი სკოლა საბჭოთა რუსეთში დაარსებული, რომლის დანიშნულება მხოლოდ პარტიული მიზნებით განისაზღვრება.

სამწუხარო მხოლოთ ისაა, რომ დღეს ჩვენში მხოლოთ არსდება ეს სკოლა მოსამზადებელი დაბალი კურსით, მაშინ როდესაც პარტიაც და რესპუბლიკაც მეტათ საჭიროებს—კარგათ და ღრმათ მომზადებულ პირებს.

ჩვენ გვყავს დღეს ასამდე ახალგაზრდა კურსანტი, რომელთაც არც პარტიული და არც პოლიტიკური სტაჟი არა აქვთ მიღებული, მაშასადამე ისინი გაივლიან პირველდაწყებითი პროგრამას და მოემზადებიან შემდეგი საფეხურებისათვის. ამნაირათ ეს სკოლა არის თუმცა ცენტრალური, მარა დაბალი საფეხურისა.

საჭიროა, რაც შეიძლება დაჩქარებით დაარსდეს მეორე და მესამე საფეხურების სკოლებიც.

საჭიროა ამ ტიპის სკოლები მოეფინოს მთელ საქართველოს და პარტიულმა ორგანიზაციებმა თავისი მოღვაწეობის პირველ რიგში დააყენონ ეს საქმე.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მხოლოთ ამ გზით შეიძლება დავაღწიოთ თავი იმ კრიზისს, რასაც დღეს პარტიაც და რესპუბლიკაც „უკაცობის" გამო განიცდის.

მაშ მეტი ყურადღება, მეტი ენერგია პარტიული განათლებისაკენ, რომ მშრომელთა მასსები კომუნისტური შემეცნებით გაიმსჭვალონ, რომ ჩვენს ქვეყანაში ძირი გამოეთხაროს იმ მატყუარა იდეოლოგიას, რომელსაც თავი მუშის ინტერესების დამცველათ მოაქვს და ნამდვილათ კი მშრომელ ხალხს ბურჟუაზიული შხამით სწამლავს.

რ. ქ.

## ცენტრალური პარტიული სკოლა.

დღეს ხელმძღვანელი პარტიული ორგანიზაციებისა და საბჭოთა დაწესებულებების წარმომადგენელთა თანდასწრებით გაიხსნება ქალთა მეშვიდე გიმნაზიაში ცენტრალური პარტიული სკოლა.

ჩვენ არა ერთხელ მიგვიქცევია ამხანაგების ყურადღება იმ ანომალიაზე, რომელსაც წარმოადგენდა საბჭოთა ძალა უფლების გამოცხადების პირველ თვეებში პარტიული მუშაობის რამოდენიმეთ მიდუნება, მისი ჩამორჩენა. მიუხედავად ახალი, თავისუფალი პირობებისა და დიდი შესაძლებლობისა, რომელიც გადაგვეშალა წინ ჩვენი პარტიული შემოქმედებისათვის შემბორკავ მენშევიკური რეჟიმისაგან განთავისუფლებამ, ჩვენ ვერ მოვასწარით არსებული პარტიული ძალებისთვისაც შესაძლებელ სათანადო სიმაღლემდი აგვეყვანა ეს უსაჭიროესი მუშაობა. ამას, რასაკვირველია, თავის გასაგები მიზეზები ჰქონდა. სახელმწიფო ძალა-უფლების ხელში აღების შემდეგ მთელი სიმძიმე სახელმწიფოებრივი მუშაობის დაწვა ჩვენ პარტიას, რომლის ორგანიზაციული აპარატი იყო თითქმის სრულიად განადგურებული მენშევიკური რეჟიმის „გმირების" მიერ და იდგა უმნიშვნელო პროპორციაში იმ პოლიტიკურ გავლენასთან, რომლითაც სარგებლობდა ის, მიუხედავათ რეპრესიებისა, ჩვენ მშრომელ მასსებში. მინდობილი მხოლოთ თავის საკუთარ ძალებზე ახალ სახელმწიფოს აღმშენებლობის, მისი პირველი საფუძვლების ჩაყრის საქმეში, თითქმის მთელი პარტიული ენერგია გასაგები ინერციით წარიმართა ამ მხრივ და პარტიული მუშაობა, როგორც ასეთი, თავის თავად დადგა მეორე რიგში, მისუსტდა. ასეთი მდგომარეობის გახანგრძლივება შეუძლებელი იყო. და უკანასკნელ ხანებში ჩვენ ვხედავთ სხვადასხვა მიზეზებელ რესპუბლიკებში ძველი რეჟიმის მიერ იძულებით გადახიზნულ პარტიულ ძალების უფრო ენერგიულ მობილიზაციას, აქ არსებულების უფრო რაციონალურათ გადაჯგუფებას, ყველას უფრო ენერგიულათ გამოყენებას პარტიული მუშაობისთვის. ამნაირათ პარტიას მეტი აქტივობა დაეტყო და თუმცა რამოდენიმე თვით იძულებითი დაგვიანებით, მარა მაინც, მისმა მუშაობამ თავის რიგების გასაძლიერებლათ დაისახა სათანადო მასშტაბი, დაიწყო გაფართოება და გაღრმავება. მთელი რიგი პარტიულ რაიონულ კონფერენციებისა, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესი იყო კონფერენცია თფილისის ორგანიზაციისა უკანასკნელ დღეებში, გარდა ამისა ადგილობრივი ორგანიზაციების პასუხისმგებელ მდივნების თათბირი, რომელსაც ადგილი აქვს დღეს თფილისში ცხადათ მოწმობენ ამ პარტიული მუშაობის ახალი ენერგიითა და ტემპით წარმოების შესახებ. პარტიული შემოქმედების ამ ახალ მომენტში განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა ცენტრალურ პარტიულ სკოლის გახსნასაც. ეს ინსტიტუტი ძველი მოვლენაა სოციალისტური პარტიების პრაქტიკაში. ჩვენშიაც ყოფილან ისინი, რამდენათაც ამის შესაძლებლობას ძლიერდნენ არსებული პირობები, შემთხვევით, სპორადიულათ. მარა მხოლოთ დღეს გვეძლევა საშუალება მის სათანადოთ მოსაწყობათ. ჩვენ განვიცდით მწვავე საჭიროებას მომზადებულ პარტიულ მუშაკებში. რაგინდ მრავალრიცხოვანი არ უნდა გვყავდეს ისინი ჩვენ განკარგულებაში, პარტიული და სახელმწიფოებრივი მუშაობა რომელიც ყოველდღე ფართოვდება, მოითხოვს ჩვენგან ასეთი მუშაკების უფრო და უფრო მეტ კადრებს. მათი მომზადება, აუცილებელი საჭირო ცოდნით და რჩეულთათვის მიღწეული გამოცდილებით აღჭურვა მიმდინარე და მომავალი ჩვენი მრავალმხრივი მოღვაწეობის დარგებში ჩასაბმელათ—ეს არის მიზანი, რომელსაც ისახავს ცენტრალური პარტიული სკოლა. ასამდი პარტიული ამხანაგი, რომლებიც ჩამოსული არიან მსმენელებათ პარტიულ სკოლაში საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებიდან უნდა განმსჭვალონ იმ განსაკუთრებული მნიშვნელობის აზრით, რომელიც აქვს როგორც მათ მეცადინეობას, რომელიც დღეს იწყება, ისე უფრო მომავალ მათ მოღვაწეობას პარტიისათვის, და რესპუბლიკისათვის. მათ მუყაითობაზე, მათი შრომის უნარზე, დაბოლოს მომავალი პასუხისმგებლობის სრულ შეგნებაზე არის ბევრათ დამოკიდებული პარტიის განვითარება და მით მთელი ჩვენი მდგომარეობის განმტკიცება. იგივე ითქმის იმ ამხანაგებზე, რომლებმაც თავს იდვეს პარტიის დავალებით ამ ფრიად საპასუხისმგებლო მუშაობის ხელმძღვანელობა.

ჩვენ მივესალმებით მხურვალეთ ცენტრალურ პარტიულ სკოლას, იქ სამეცადინოთ ჩამოსულ კურსანტებს და ხელმძღვანელათ მიწვეულ ამხანაგებს და ვუსურვებთ მათ ნაყოფიერ მუშაობას, ამ მუშაობის გამარჯვებით დაგვირგვინებას.

ნ. ქ.

## პირველი ინტერნაციონალიდან მესამისაკენ.

### თეზისები.

1. 1864 წ. ლონდონში დაარსებულ იქნა მუშათა საერთაშორისო ამხანაგობა—პირველი ინტერნაციონალი.

ბაზათ, რომელზედაც განვითარდა ახალი მოძრაობა, გახდა ის გაალმასებული კლასთა ბრძოლა, რომელიც გამეფებული იყო იმ დროს დასავლეთ ევროპის მოწინავე ქვეყნებში.

2. პირველი ინტერნაციონალი თავის „მანიფესტში", რომელიც დაწერილი იყო კ. მარქსის მიერ, ხსნიდა და მარტავდა არა მქონეთა მრავალი სახის მოძრაობებს სხვა და სხვა ქვეყნებში, როგორც ერთიან, ისტორიულათ აუცილებელ მოძრაობას ახალი ისტორიის ასპარეზზე გამოსულ პროლეტარიატის კლასისას. პირველ ინტერნაციონალის წესდებაში დაწესებულია შემდეგი ძირითადი დებულებანი, რომლებითაც უნდა ეხელმძღვანელებინა მუშათა კლასს თავის ბრძოლაში:

„მუშათა კლასის განთავისუფლება თვით მუშათა კლასის საქმეა;

მუშათა კლასის ეკონომიური განთავისუფლება ეს ის დიადი მიზანია, რომელსაც უნდა ემორჩილებოდეს ყოველგვარი პოლიტიკური მოძრაობა, როგორც საშუალება".

3. პარიზის კომუნის დამარცხების შემდეგ, და აგრეთვე პირველი ინტერნაციონალის მარქსისტულ და ანარქისტულ ფრთებს შორის შინაგანი ბრძოლის შედეგათ, ასეთი დაინგრა და ფორმალურად დაშლილ იქმნა 1876 წ.

4. ამავე დროს ევროპაში დაარსდა დამოუკიდებელ და ძლიერ ნაციონალურ სახელმწიფოების მთელი წყება, ხოლო კონსტიტუცია ამ სახელმწიფოებსა უშვებდა რამდენიმეთ დაბალ კლასების ლეგალურ, პარლამენტარულ ბრძოლას.

5. თითეულ ამ სახელმწიფოში დაარსდა პირველი ინტერნაციონალის დაშლის შემდეგ თავისი მუშათა, სოციალისტური პარტია, რომელიც შეუდგა უკვე ბრძოლის წარმოებას თავის ნაციონალური სახელმწიფოს ფარგლებში და იმ პირობებთან შეგუებით, რომლებიც არსებობდა ამ სახელმწიფოში.

6. მაგრამ, მიუხედავათ პირობების განსხვავებისა, რომლებშიაც მიმდინარეობდა მუშათა მოძრაობა სხვა და სხვა ქვეყნებში, უკანასკნელი მაინც რჩებოდა ერთიან მუშათა კლასათ, რომელიც შედუღებულ იყო ინტერესებისა და ამოცანების ერთობით, აწარმოებდა ბრძოლას ბურჟუაზიულ საზოგადოებასთან მთლიანათ და მიისწრაფოდა სოციალიზმისაკენ, რომელიც შეიძლება მიღწეულ იქნეს მთელ მსოფლიოს პროლეტარიატის შეერთებული ძალღონით.

7. 1889 წ. პარიზში განახლდა მუშათა მოძრაობის საერთაშორისო კავშირი და დაარსდა მე-II ინტერნაციონალი, საერთაშორისო ურთიერთობა ჩამოყალიბდა ორგანიზაციულის მხრივ ორ ფორმაში: საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროში, რომელიც იყო უმთავრესად ინფორმაციული ორგანო და პერიოდულ საერთაშორისო ყრილობებში, რომლებზედაც ირჩეოდა მუშათა მოძრაობას საერთო კითხვები.

8) მეორე ინტერნაციონალის პირველი წლები დაახლოვებით 1808 წ. რუსეთის პირველი რევოლიუციამდი, ხასიათდება ცალკე ქვეყნებში მუშათა მოძრაობის გაძლიერებულ ზრდით, პარტიების ორგანიზაციული და იდეიური გამაგრებით, მისი სულ უფრო და უფრო მეტი გავლენით ქვეყნის შინაგან ურთიერთობაზე; მაგრამ ამასთან ერთად, მუშათა პარტიების ნაწილი სულ უფრო და უფრო იმსჭვალებოდა ვიწრო პრაქტიციზმით და კარგავდა სახიდან მოძრაობის საბოლოო მიზანს, ოპორტუნიზმი ხდება პრაქტიკულათ მდგომარეობის ბატონი.

9. მეოცე საუკუნის დასაწყისში სუსტი საერთაშორისო კავშირი, რომელიც დამახასიათებელი იყო მეორე ინტერნაციონალისა, ეღარ შეეფერებოდა უკვე განვითარების იმ იმპერიალისტურ ბაზას, რომელშიაც შესდგა ფეხი კაპიტალისტურმა საზოგადოებამ.

10. უმთავრესი როლი და მნიშვნელობა მოიპოვა ამ დროს საგარეო კოლონიალური პოლიტიკის კითხვებმა, უმთავრესი როლის თამაში დაიწყო კაპიტალისტების მსოფლიო გაერთიანებებში მჭიდროთ შეკავშირებულმა და გაერთიანებულმა ფინანსიურმა კაპიტალმა. შინაგანი პოლიტიკის კითხვებმა, რომლებსაც უმთავრესად ეტანებოდენ ნაციონალური მუშათა პარტიები, დაკარგა უმთავრესი მნიშვნელობა და დადგა უკანა რიგზე.

11. ამ ძირითად შეუსაბამობის გარდა მუშათა მოძრაობის სუსტ ინტერნაციონალურ კავშირსა და გაერთიანებული კაპიტალის მიერ მთელი მსოფლიოს ფაქტიურ დაპყრობის შორის, მეორე ინტერნაციონალის წიაღში ვითარდებოდა პირობები, რომლებიც აუცილებლათ იწვევდა მის დაშლას. ეს პირობებია შემდეგი:

ა) მუშათა კლასის ნაწილს, განსაკუთრებით მისი არისტოკრატიის, კვალიფიციური ზედა პირის ჩათრევა იმპერიალიზმის გავლენის სფეროში. უკეთესი სამუშაო ქირა, რომელსაც იღებდა ეს ზედა პირი მოწინავე ქვეყნებში ჩამორჩენილ ქვეყნებისა და კოლონიების გაძლიერებულ ყვლეფის ხარჯზე აიძულებდა მას გადაეჯაჭვა თავისი პროფესიის ინტერესები „თავისი" ქვეყნის მრეწველობასა და ნაციონალური სიმდიდრის შემდეგ ზრდასთან;

ბ) ლეგალური, უმთავრესათ პარლამენტარულ ბრძოლის ხანგრძლივმა წლებმა მუშათა პარტიების რიგებში მრავალრიცხოვანი და ძლიერი ბიუროკრატია, რომლის მთელი არსებობაც განისაზღვრებოდა მუშათა მოძრაობის სწორეთ ხომ ლეგალობით. რევოლიუციონური ტაქტიკა და ბრძოლა აუცილებლათ ითრევდა პარტიას ქარქვეშ და ძირიანათ არღვევდა პარტიულ აპარატს.

გ) რამდენადაც მუშათა პარტიების ბრძოლის უმთავრესი შინაარსი ტრიალებდა ნაწილობრივი რეფორმებისათვის ბრძოლის ირგვლივ, პროგრამა მინიმუმის დემოკრატიულ მოთხოვნილებათა განხორციელებისთვის, პარტიებს უერთდებოდა ბევრი „თანამგზავრი" წვრილ ბურჟუაზიულ წრედან, რომელსაც არც უნარი და არც სურვილი ქონდა ყოფილიყო პარტიასთან ბოლომდის სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

12. ყველა ამ მიზეზებმა გამოიწვია მეორე ინტერნაციონალის ფაქტიური კრახი 1914 წ. მსოფლიო იმპერიალისტურ ომის დაწყებისას.

13. მუშებს ყველაზე უფრო შეგნებული და რევოლიუციონური ელემენტები ცდილობდნენ ომის მთელ დროის განმავლობაში შეექმნათ დაღუპულ მეორე ინტერნაციონალის მაგიერ ჭეშმარიტად რევოლიუციონური, ახალი საერთაშორისო გაერთიანება მუშებისა, მაგრამ ასეთი ცდა შეიძლება განხორციელებული იყო რეალურად მხოლოდ რუსეთის პროლეტარულ რევოლიუციის გამარჯვების შემდეგ.

14. 1919 წ. მოსკოვში დაარსდა მესამე კომუნისტური ინტერნაციონალი. ეს ინტერნაციონალი ისახავს თავის მიზნათ ბრძოლას ყველა საშუალებებით საერთაშორისო საბჭოთა რესპუბლიკის დასაარსებლათ. პროლეტარიატის დიქტატურას მესამე ინტერნაციონალი თვლის ერთადერთ საშუალებათ კაცობრიობის გასანთავისუფლებლათ კაპიტალის ჩაგვრისაგან, ხოლო საბჭოთა ძალა უფლებას პროლეტარიატის ასეთი დიქტატურის ფორმით.

15. დასახულ ამოცანებთან ერთად მესამე ინტერნაციონალის ორგანიზაციული ფორმები გაცილებით უფრო მჭიდრო და ცენტრალისებურია, ვიდრე მეორესი. უწევს რა ანგარიშს რევოლიუციონურ ბრძოლის აუცილებლობას მესამე ინტერნაციონალი წინდაწინ სჭვრეტს აუცილებლობას არალეგალური ბრძოლის მომენტში ძალა უფლების დაპყრობამდე, აუცილებლობას სასტიკ, სამხედრო დისციპლინისას. ამიტომ შესვლა ორგანიზაციაში ძალიან ძნელია და შეიძლება მხოლოთ იმ სოციალისტურ პარტიებისათვის, რომლებიც სულ ერთიანათ იზიარებენ მესამე ინტერნაციონალის რევოლიუციონურ პროგრამას და ტაქტიკას.

16. კომუნისტური მოძრაობა იზრდება ყველა ქვეყნებში, მესამე ინტერნაციონალის ყრილობები გვიხატავენ თუ როგორ იზრდება სულ უფრო და უფრო მისი მომხრეების რიცხვი.

ამჟამად მოსკოვში იკრიბება კომუნისტური ინტერნაციონალის მესამე ყრილობა, რომელმაც უნდა შეიმუშაოს მისი ტაქტიკა ახლო მომავლისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენ. კომ. აგიტპროპგანი.

## საბჭოთა რუსეთში

გრუკავროსტას დეპეშები.

### ერთი მილიარდი საგარეო ვაჭრობისათვის.

სახალხო კომისართა საბჭომ მისცა საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატს ავანსად ერთი მილიარდი მანეთი 1921 წლის საოპერაციო ხარჯთაღრიცხვის ანგარიშში, რ. ს. ფ. ს. რ. საგარეო ვაჭრობის წარმომადგენლობისათვის ამიერ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებში იმ საქონლის საფასურად, რომელიც იქ ამ ჟამად არის საგარეო ვაჭრობის ცენტრალური კომიტეტის საწყობებში და იმ საოპერაციო ხარჯების დასაფარავად, რომელიც აქვს დასახელებულ წარმომადგენლობას.

### საქონელი გლეხობისათვის.

პეტროგრადი. 11 | 6 (რადიო). ამ უკანასკნელ სამი დღის განმავლობაში პეტროგრადის საზღვაო ნავთსადგურში უცხოეთიდან მიღებულ იქნა 400 ვაგონი სასოფლო-სამეურნეო იარაღები. მიღებულ ცნობებით, გზაზეა კიდევ 10 ვაგონი ფეხსაცმელი და 3 ვაგონი ნავთი. (კავრ.)

### სპილენძი უცხოეთიდან.

მოსკოვი, 12 ივნისი (რადიო). ივნისის 7—9 პეტროგრადის ნავთ სადგურში მოვიდა წითელი სპილენძით დატვირთული ინგლისის გემი. სპილენძის რაოდენობა უდრის 200,000 ფუთს. ივნისის ათიდან დაიწყეს მისი გადმოტვირთვა.

### უცხოეთიდან საქონელი მოდის.

მოსკოვი, 11 ივნისი (რადიო). სტამბოლიდან ოდესაში მოვიდა მანუფაქტურით და სხვა და სხვა საქონლით დატვირთული საბერძნეთის გემი „კორკირა". (კავრ.).

ხელ განცხადებულ პროტესტისა ბესარაბიაში მყოფი რუმინელი ჯარები კვლავ განაგრძობენ მტრულ მოქმედებას რუსეთ-უკრაინის წინააღმდეგ. საკმარისია მივუთითოთ შემდეგ შემთხვევაზე: მოგილოცავ—პოდოლის რაიონში რუმინიის არტილერიამ მდინარის გაღმა დაბანაკებულ რუს უკრაინელ ჯარებს ზარბაზანი სამოცჯერ ესროლა. რუსეთ-უკრაინის მთავრობები კვლავ და კატეგორიულ პროტესტს აცხადებენ ასეთი მოქმედების წინააღმდეგ და მივაქცევთ რუმინიის მთავრობის ყურადღებას იმ გარემოებას, რომ რუმინელ ჯარების ასეთი მტრული მოქმედებით შექმნილი მდგომარეობა, ჩვენის მხრივ მოუთმენელია.

## ბავშვთა ექიმობა.

**მოსკოვი.** 27 მაისი ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა გადაგზავნა ადგილობრივ ინსტრუქციები იმ ბავშვთა შესაკრებათ და გასანაწილებლად, რომელთაც ჰაერის გამოცვლა და წამლები სჭირდებათ. არა სცნეს საჭიროთ საავარაკოდ გაგზავნონ ბავშვები 7 წლამდე იმის შიშით, რომ მასიურ გადაყვანის დროს სხვადასხვა სენი არ გავრცელდეს მათ შორის. საავარაკოდ გაიგზავნებიან ტუბერკულიოზით და ბრონხიარული ავადმყოფი ბავშვები. სრულიად აკრძალულია ბავშვთა ყოველგვარი გზავნა კლიმატიურ სადგურებში თუ ნაჩვენები არ არის სამკურნალო ადგილთა განყოფილებანი.

## მესამე ინტერნაციონალს

მსოფლიო სამრეკლოს ცაში მიბჯენილსა,
რკინის სახურავით, რკინის ბომბებითა,
იალბუზზედ უმაღლესს და ახლობელს მზისა
წითელი ვარსკვლავი ჰკოცნის შუქფენითა.
მეზარე მორწმუნე ცეცხლოვან აზრისა,
რწმენის ზარს ჩამოჰკრავს,—გუგუნი გაისმას,
ქვეყანა მშრომელი, ქვეყანა ტანჯვისა,
ილვიძებს და ხარობს, მომავალს უკვნის.
მეზარემ არ იცის რაა დასვენება,
მიზნათ დაუსახავს—ზარი გუგუნებდეს.
უნდა ასრულებდეს მშრომელთა ბრძანებას,
რომ მომავლის ზღაპარით მთა ბარს ახარებდეს.
მეზარევ, ჩამოჰკარ ზარს მშრომელთ იმედის,
ალიონი წითლად აღმოსავლეთს ფერავს.
მზის სხივები თხრიან საფლავს ღამის ბედის,
მზე სხივებით ბნელეთს საქვდროთ გულს უსერავს.
მეზარევ, ჩამოჰკარ ზარს დიდი რწმენის,
დაე, გაიღვიძოს, აღსდგეს ტანჯვის მხარე,
გლოვით შეიმოსოს კუთხე ბოროტების,
რათა გაზაფხულსა ფლობდეს არე მარე.
მსოფლიო სამრეკლოს ცაში მიბჯენილსა,
რკინის სახურავით, რკინის ბომბებითა
იალბრუზზე უმაღლესს და ახლობელს მზისა
წითელი ვარსკვლავი ჰკოცნის შუქფენითა.

**ხანდრო ეული.**

## დადგენილება.

**მეაბრეშუმეთა საყურ დღებოთ.**

1) პარკის, აბრეშუმის ძაფის, ფრიზონის (ნათაურა), ფრიზონეტის (ნაბოლარა) და ყაჭის აგროვება-შეძენის უფლება აქვთ მხოლოდ იმ ადგილობრივ ორგანიზაციებს, რომელთაც ეს დავალებული ექნებათ სახალხო სასურსათო კომისარიატისაგან.

2) მეაბრეშუმე, როგორც მონაწილე პარკის ოპერაციის მოგებაში მიიღებს მთავრობისაგან ავანსის სახით ფუთ პირველი ხარისხის ნედლ პარკზე ათი არშინამდე ნარმას ან ჩითს, 20 გირვანქა ნავთს, 20 გირ. მარილს, ერთს გირ. საძირეს, ნახევარ გირ. საპირე სამოგვეს, საპონს ორ გირვანქას, ასანთს (სპ ჩკა) 5 კოლ. საკერავ ძაფს 1000 იარს მატყლს (შეთანხმებით) და 50 ათას მანეთს; მეორე ხარისხის პარკში—ფულათ 40 ათას მანეთს და საქონლით—7 არშინ ნარმა-ჩითს, 15 გირ. ნავთი, 15 გ. მარილი, 3 კოლ. ასანთი, 500 იარდს ძაფს, ერთ გირ. საპონს, 1 გირ. საძირე და ნახევარ გირვანქა საპირე ტყავს და მატყლს.

3) პარკის მიმღებ-დამრიგებელ ორგანიზაციებს ევალებათ იქონიონ მთავრობის მიერ გამოცემული საკვიტანციო წიგნები, რომლიდანაც მეაბრეშუმეს ეძლევა პირადი კვიტანცია ჩაბარებულ პარკისა, მიღებულ საქონლის და ფულის რაოდენობის აღნიშვნით.

4) მეაბრეშუმენი ვალდებულნი არიან შეინახონ კვიტანციები, თორემ მთავრობის მიერ დადგენილ მოგების ნაწილს ან სხვა დამატებითი ავანს ვერ მიიღებენ.

5) ნედლი პარკის მიღება-შეგროვება მოხდება ჯერ-ჯერობით-ქალაქ თბილისში (მუშტაიდ. საბრეშუმო სადგური) თელავში, სიღნაღში, მეტეხში (ქარელი), ზესტაფონში, სვირში, ბაღდადში, ქუთაისში, ცაგერში (ლეჩხუმის), წესში (რაჭა), ხონში, ლანჩხუთ-ჭაგანში, სამტრედიაში, ტობანიერში, ვანში, საჯევახოში, საჭამია-სერზე, ჩოხატაურში, ხიდის-თავში, ნაგომარში, ოზურგეთში, ნოტანებში, სუფსაში, ლანჩხუთში, აბაშაში, ბანძაში, ახალ-სენაკში, ხონში, ზუგდიდში, წალენ-ჯიხაისში, ახუთში, ცხორაწყუში, ოქუმში, ოჩემჩირეში, და დრანდაში.

6) იმ ორგანიზაციებს და კერძო პირებს, რომელთაც მთავრობისაგან არ აქვთ დავალებული მიღება-დაგროვება, სასტიკათ ეკრძალებათ პარკისა და მეაბრეშუმეობის სხვა ნაწარმოების შესყიდვა, ვინაიდან პარკზე და აბრეშუმის ძაფზე მონოპოლია არის გამოცხადებული.

7) ამ დადგენილების მე-6 მუხლის დამრღვევნი გადაეცემიან რევოლიუციონურ ტრიბუნალს ხოლო შეძენილი პარკიდან ძაფი ჩამოერთმევათ უფასოდ.

საქართვ. სახალხო სასურსათო კომისარის მაგიერ **ა. ერქომაიშვილი.**

სამიწადმოქმედო კომისრის მაგიერ **ე. ჯაწაძე.**

საგანგებო რწმუნებული **ი. ქუთათელაძე**

# საზღვარ გარეთ

·გრუკავროსტას დეპეშები.

## 3-ვე ინტერნაციონალის გამარჯვება

**ბერლინი** 11 ივნისი (რადიო) საფრანგეთის რკინის გზათა სინდიკატების ადმინისტრატიულმა საბჭომ მღელვარე სხდომის შემდეგ, რომელზედაც ირჩევდნენ ბიუროს აღმასრულებელ კომისიას მხარი დაუჭირა მუშათა კანდიდატს.

## თეთრი ტერორი ლატვიაში და 9 კაცის სიკვდილით დასჯა

**რიგა** 11 ივნისი (რადიო) სამხედრო საველე სასამართლომ ლატვიის კომუნისტური პარტიის 20 წევრის საქმე გაარჩია. სასამართლოს განაჩენით 1 განთავისუფლებულია, 2 საპყრობილეში დასტოვეს საქმის საბოლოო გამორკვევამდის, 8 ს კატორგაში მუშაობა და 9 სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს.

## კომუნიზმმა ფესვები ღრმად გაიდგა.

**მოსკოვი.** 1 ივნისი კომუნისტმა ლანგუტსკამ პოლონეთის სეიმში ამნისტიის საკითხის შესახებ განაცხადა: ამნისტიის პროექტი არის პირმოთნეობის კომედია, გათამაშებული საზღვარგარეთისათვის. თქვენ არ გსურთ ყველა პოლიტიკური პატიმარი გაანთავისუფლოთ, ვინაიდან ფიქრობთ, რომ ამით თქვენ სისუსტის აქტს ჩაიდენთ. ეს თქვენ არ გიშველით, კომუნიზმმა ღრმა ფესვები გაიდგა ამ დამპალ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში და არც მთავრობას, არც სეიმს არ ძალუძს მისი ამოგდება. კომუნიზმი თქვენ დაგამარცხებთ.

## მაღაროში მომუშავეთა გაფიცვა.

**ნაუენი.** 14 ივნისი. (რადიო). ლონდონიდან იტყობინებიან, რომ მაღაროში მომუშავეთ განზრახული აქვთ მწარმოებელთა მიერ წამოყენებულ პირობების მიღება და ივნისის 20 დან მუშაობის დაწყება. ბირმინგამიდან მიღებულ ცნობებით, ახლო დღეებში ბირმინგამის ოლქში დამთავრდება ქვანახშირზე მომუშავეთა გაფიცვა. ათასამდის მუშა უკვე შეუდგა მუშაობას.

## რევოლიუციონური მოძრაობა ინდოეთში.

**ნაუენი.** 1 ივნისი. (რადიო). ინდოეთის საკანონმდებლო საბჭოს ოპოზიციამ მოითხოვა ინდუსების ჯარების სხვა ქვეყნებიდან ინდოეთში დაბრუნება და ბეჭდვის თავისუფლების აღდგენა. ინდოეთის საერთო რევოლიუციონურ მოძრაობის გავლენით, ოპოზიციას მიემხრო საკანონმდებლო საბჭოს ზომიერი წევრებიც კი.

## ბოიკოტი ინგლისელების წინააღმდეგ

**მოსკოვი** 1 ივნისი. ინგლისის ხელისუფლება ინდოეთში კვლავ განაგრძობს ლეგალურ ეროვნულ ორგანიზაციების სისტემატიურ დევნას. ალლახაბადში მასსიური დატუსაღება და გადასახლებაა. ბენგალიის ნაფიც ვექილთა წოდებამ გადასწყვიტა ინგლისურ სასამართლოებიში შესწყვიტოს პრაქტიკა. სრულიად ინდოელ სტუდენტთ ყრილობამ გადასწყვიტა შეურთდეს ბოიკოტისტურ მოძრაობას და მიიღოს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებეში მხურვალე მონაწილეობა. ყრილობამ დაადგინა, რომ სტუდენტობის დღიური ამოცანაა არა სწავლა-მეცადინეობა დღეს, არამედ ენერგიული მუშაობა ფართო საზოგადოებრივი მასაში.

## ინგლისის დახმარება.

**მოსკოვი,** 1 | 6. ინდოეთის მთავრობამ დასდო ინგლისში 70 მილ. სესხი ოქროს ფულად და მძიმე პირობას ხელი მოაწერა. ამ სესხმა გამოიწვია ინდოეთის საზოგადოების ერთსულოვანი აღშფოთება, რომელიც მთავრობას აბრალებს ინგლისელ კაპიტალისტების მფარველობას ქვეყნის ინტერესების საზარალოდ. ბომბეის და კალკუტის სავაჭრო პალატები მოითხოვენ დაუყონებლივ სესხის გაბათილებას.

## აჯანყება არაბეთში.

**ანგორა.** 1 მაისი. აქ მიღებულ ცნობებით სუმომის ჩდილო რაიონში არაბებთა აჯანყება ძლიერდება.

# მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

## დადგენილება № 45.

**საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონურ კომიტეტისა.**

აბრეშუმის პარკზე, აბრეშუმის ძაფზე, ნათაურზე, ნაბოლარზე, და ყაჭზე მონოპოლიის გამოცხადების შესახებ.

1. ყიდვა-გაყიდვა აბრეშუმის პარკისა, აბრეშუმის ძაფისა, ნათაურისა, ნაბოლარისა და ყაჭისა საქართველოს ს. ს. რ. ტერიტორიაზე, აგრეთვე მათი საზღვარგარეთ გატანა და განდევნა გამოცხადებულია სახელმწიფოს მონოპოლიათ.

2. პირველ მუხლში აღნიშნული მეაბრეშუმეობის ნაწარმოებთა მონოპოლიის ცხოვრებაში გატარება საქართველოს ს. ს. რ. საზღვრებში ევალება სახალხო სასურსათო კომისარიატს, მონოპოლიის ტეხნიკური მხარის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან არსებული მეაბრეშუმეობის ინსპექციის ხელმძღვანელობით.

3. მონოპოლია გატარდება საქართველოს ს. ს. რ. მთავრობის მიერ მეაბრეშუმე-მწარმოებელთა მონაწილეობით კოოპერაციის საფუძველზე, ამასთანავე მწარმოებელთათვის ანგარიშის გასწორების წესს მეაბრეშუმეობის კომპანიის ოპერაციების გამო და აგრეთვე იმას, თუ მოგების რა ნაწილის მოზიარენი უნდა იქნენ ისინი, გამოარკვევს სახალხო სასურსათო კომისარი მიწათმოქმედების სახალხო კომისართან ერთად.

**შენიშვნა:** სახალხო სასურსათო კომისარს უფლება ეძლევა, თუ საჭიროება მოითხოვს, რეკვიზიციის წესით მესაკუთრეთ ჩამოართვას შენახული მეაბრეშუმეობის ნაწარმოები მტკიცე ფასებში.

4. სახალხო სასურსათო კომისარმა აბრეშუმის პარკი უნდა შეკრიბოს და დაამზადოს კოოპერატიული ორგანიზაციების საშუალებით, ხოლო სადაც ეს შეუძლებელი აღმოჩნდება, საზოგადოებრივი და კერძო ორგანიზაციების საშუალებით.

**შენიშვნა:** აბრეშუმის პარკის შეკრებისა და დამზადების უფლება აქვთ მხოლოდ იმ ორგანიზაციებს და კერძო პირთ, რომელნიც სახალხო სასურსათო კომისარიატისაგან მიიღებენ ამისათვის ნებართვას.

5. სახალხო სასურსათო კომისარს უფლება ეძლევა მეაბრეშუმეობის ნაწარმოებზე შემოღებული მონოპოლიის მიზანშეწონილად და საუკეთესოდ ცხოვრებაში გატარებისათვის, გამოსცეს სათანადო დადგენილებანი და ინსტრუქციები.

6. ის ორგანიზაციები და კერძო პირნი, რომელნიც ხელს შეუშლიან მონოპოლიის ცხოვრებაში გატარებას ანუ მეაბრეშუმეობის ნაწარმოებთა ყიდვა-გაყიდვის საქმეს სახალხო სასურსათო კომისარის სათანადო ნებადაურთველად დაიწყებენ, მიეცემიან რევოლიუციონური ტრიბუნალის სამართალში, ამასთანავე მათ მიერ შეძენილი აბრეშუმის პარკი და მეაბრეშუმეობის სხვა ნაწარმოები ჩამოერთმევათ მათ კონფისკაციის წესით.

7. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სახალხო სასურსათო კომისარის მოადგილე **ერქომაიშვილი.**

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი **ბ. გაბრიჩიძე.**

1921 წ. ივნისის 17.

თფილისი—სასახლე.

# ნატურალური გადასახადი

**ამხ. ლენინის მოხსენება მე-10 ყრილობაზე.**

(დასასრული იხ. № 86).

**თავისუფლება ადგილობრივ სამეურნეო ალებ-მიცემობისა პროლეტარიატის ხელისუფლების დროს.**

შეიძლება თუ არა ამის გაკეთება თეორეტიულად რომ ვსთქვათ, შესაძლებელია თუ არა უწყებულ დონემდე, რამოდენიმეთ აღვადგინოთ ვაჭრობის თავისუფლება, თავისუფლება კაპიტალიზმისა წვრილ მიწისმოქმედთათვის ისე, რომ საფუძველი არ შეურყიოთ პროლეტარიატის პოლიტიკურ ხელისუფლებას? შესაძლებელია ეს?—**არის შესაძლებელი, რადგან საქმე ზომიერებაშია.** რომ ჩვენ საშუალება გვქონდეს შევიძინოთ, თუ გინდ სულ მცირე რაოდენობის საქონელი, ავიღოთ იგი სახელმწიფოს ხელში, პოლიტიკური ხელისუფლების მქონე—პროლეტარიატის ხელში და მოვახერხოთ ამ საქონლის ტრიალის წარმოება—მაშინ ჩვენ, როგორც სახელმწიფო, ჩვენს პოლიტიკურ ხელისუფლებას მოუმატებდით ეკონომიურ ხელისუფლებასაც. ამ საქონელის ტრიალში მოქცევა გააცოცხლებს წვრილ მიწათმოქმედებას, რომელიც ამ ჟამად სრულიად ჩაკვდა, გამოშრა ომისა და საერთო ნგრევის მძიმე პირობების ტვირთის ქვეშ, და კიდევ იმ ტვირთის ქვეშ, რომელსაც ქვიან — წვრილი მიწათ მოქმედების გაშლის შეუძლებლობა. მცირე ხელის აკვრა, მუჯლუგუნი ამაგულიანებელია, რომელიც შეეფერება მის ეკონომიურ ბაზას, ე. ი. თვითეულ წვრილ მეურნეობას. აქ ალებ-მიცემობის ადგილობრივი თავისუფლებიდან ვერ გამოძვრები.

თუ ეგ ალებ-მიცემობა აძლევს სახელმწიფოს პროდუქტებზე გაცვლით პურის უწყებულ მინიმალურ რაოდენობას, რომელიც საკმარისია ქალაქის, ფაბრიკების, მრეწველობის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, მაშინ ეკონომიური ალებ-მიცემობის აღდგენა ხდება ისე რომ, სახელმწიფოებრივი ხელისუფლება რჩება პროლეტარიატის ხელში და მტკიცდება. გლეხობა მოითხოვს პრაქტიკულად ვაჩვენოთ მას, რომ მუშას, რომელსაც ხელში უჭირავს, ქარხანა, მრეწველობა, შეუძლია მოაწყოს გლეხობასთან საქონლის ალებ-მიცემობის საქმე.

და მეორე მხრით უზარმაზარი მიწათმოქმედების ქვეყანა, უვარგისი გზებით, თვალუწვდენელი სივრცით, სასოფლო-სამეურნეო პირობების სხვადასხვაობით და სხვ., აუცილებლად გულისხმობს ალებ მიცემობის უწყებულ თავისუფლებას, ადგილობრივ მიწათმოქმედებისა და ადგილობრივ მრეწველობის ადგილობრივ მასშტაბით.

ამ მხრივ იყო ბევრი რამ აშკარად შემცდარი და უდიდესი დანაშაული იქნებოდა: დაგვენახა აქ და ვერ გაგვეგო, რომ ჩვენ ზომიერობა ვერ დავიცავით, რომ არ ვიცოდით როგორ დაგვეცვა იგი. მაგრამ აქ იყო აგრეთვე იძულებითი აუცილებლობა—ჩვენ დღემდე ვცხოვრობდით ისეთ ბრაზმორეულ, უმაგალითო, მძიმე ომის პირობებში, რომ არა დაგვრჩენოდა რა, გარდა სამხედრო წესებით მოქმედებისა თვით ეკონომიურ სფეროშიც. და სასწაულია ის რომ, ასეთი ომს გაუძლო დანგრეულმა ქვეყანამ; და ეგ სასწაული ციდან კი არ ჩამოვარდნილა, არამედ წარმოიშვა მუშათა კლასისა და გლეხობის ეკონომიურ ინტერესებიდან, რომელთაც მოახდინეს ეს სასწაული თავისი მასიური აღფრთოვანებით; ამ სასწაულით მოუწყვეთ ჩვენ გმირული დახვედრა მემამულეთა და კაპიტალისტებს. მაგრამ ამავე დროს უდავო ფაქტია,—და საჭირო არ არის ეს დავმალოთ აგიტაციისა, ან პროპაგანდის დროს,—რომ ჩვენ შევტოპეთ უფრო შორს, ვიდრე ეს თეორეტიულად და პოლიტიკურად საჭირო იყო. ჩვენ შეგვიძლია თვალსაჩინო მასშტაბით დაუშვათ თავისუფალი ადგილობრივი ალებ-მიცემობის არსებობა, და მით, კი არ შევასუსტოთ, არამედ გავაძლიეროთ პროლეტარიატის პოლიტიკური ხელისუფლება. როგორ ვქნათ ეგ—ეს პრაქტიკის საქმეა. ჩემი საქმეა დაგიმტკიცოთ, რომ თეორეტიულად ეს გონს მოსავლელია. პროლეტარიატს, რომელსაც სახელმწიფოებრივი ძალა-უფლება ხელთ უპყრია, თავისუფლად შეუძლია, თუ რაიმე რესურსები აქვს, ჩააბას იგი; ალებ-მიცემობის ფერხულში და მით მიაღწიოს საშუალო გლეხობის განსაზღვრულ დაკმაყოფილებას, ადგილობრივ სამეურნეო ალებ-მიცემობის ნიადაგზე.

**კოოპერაციის შესახებ.**

ეხლა უნდა შევეხო კოოპერაციის საკითხს. რასაკვირველია, ადგილობრივი სამეურნეო ალებ-მიცემობის დროს კოოპერაცია ჩვენ გვჭირდება. ჩვენი პროგრამა აღნიშნავს, რომ საუკეთესო აპარატი განაწილებისათვის არის კაპიტალიზმიდან დარჩენილი კოოპერაცია და რომ მისი არსებობა საჭიროა, ამას ამბობს პროგრამა. გამოვიყენეთ ჩვენ კოოპერაცია? ძლიერ სუსტათ. რატომ? იმავე მიზეზით: ნაწილობრივ შეცდომები, ნაწილობრივ სამხედრო გასაჭირი. კოოპერაცია არჩევს მეურნეობაში უფრო გამოცდილ, ეკონომიურად უფრო მაღალ ელემენტებს, ამის გამო კოოპერაციას პოლიტიკაში გამოყავს მენშევიკები და სოც. რევოლიუც. ეს ქიმიური კანონია, აქ ვერაფერს ვერ იზამ. მენშევიკები და ესერები ისეთი ხალხია, რომ შეგნებულათ, თუ შეუგნებლად, ხელს უწყობენ კაპიტალიზმის აღდგენას და ეხმარებიან იუდენიჩებს. ესეც კანონია; ამათ უნდა ვებრძოლოთ. რაკი ომი საჭიროა, ვიომოთ წესიერად. ჩვენ უნდა დაგვეცვა ჩვენი თავი და დავიცავით კიდეც. მაგრამ შესაძლებელია უსათუოდ დავრჩეთ ეხლანდელ მდგომარეობაში? არ არის შესაძლებელი- და ამით ხელ-ფეხის შეკვრა, ცხადია, შეცდომა იქნებოდა. ამიტომ კოოპერაციის შესახებ მე მაქვს რეზოლიუცია, რომელიც ძალიან მოკლეა, მე წავიკითხავ: „ვინაიდან რუსეთის კომუნისტური პარტიის მე-9 ყრილობის რეზოლიუცია კოოპერაციის შესახებ, დამყარებულია სასურსათო გაწერის პრინციპის აღიარებაზე, რომელიც ამ ჟამად შეცვლილია ნატურალი გადასახადით, რუსეთის კომუნისტ. პარტიის მე-10 ყრილობამ დაადგინა:

აღნიშნული რეზოლიუცია გაუქმებულ იქმნეს.

ყრილობა ავალებს ცენტრალურ კომიტეტს—გამოიმუშაოს და პარტიულ და საბჭოთა წესით გაატაროს დადგენილებანი, რომელიც გააუმჯობესებს და განავითარებს კოოპერატივების ორგანიზაციას და მოქმედებას, თანახმად რუსეთის კომუნისტური პარტიის პროგრამისა და სასურსათო გაწერის ნატურალი გადასახადით შეცვლის მიხედვით“. მაგრამ მე-9 ყრილობა ხელში ბორკილს გვ ყრის; იგი ამბობს: „დაექვემდებაროს სასურსათო კომისარიატს“. სასურსათო კომისარიატი მშვენიერი დაწესებულებაა, მაგრამ კოოპერაციის უსათუოდ მის ხელქვეით მოქცევა და საკუთარი ხელების შებოჭვა, იმ დროს, როცა იცვლება ურთიერთობა წვრილ მიწათმოქმედების ინსტიტუტთან,—არის უდიდესი შეცდომა პოლიტიკურად. ჩვენ უნდა მივანდოთ არჩეულ ცენტრალურ კომიტეტს, დაამუშაოს, და გამოარკვიოს ზომები, ცვლილებანი. ამ მხრივ, თეორეტიულად რომ ვსთქვათ, ჩვენ ვდგევართ მთელ რიგ გარდამავალ საფეხურებისა და გარდამავალ ზომების წინაშე. ჩვენთვის ერთია აშკარა: მე 9 ყრილობის რეზოლიუცია გულისხმობდა, რომ ჩვენი მსვლელობა წარიმართებოდა გაუსმელი ხაზით. აღმოჩნდა,—როგორც ყოველთვის აღმოჩენილა რევოლიუციის ისტორიაში,—რომ მოძრაობას დასჭირდა მრავალი გადახვევის გაკეთება: ასეთი რეზოლიუციით ხელში ბორკილის გაყრა—პოლიტიკური „შეცდომაა. ვაუქმებთ რა მას, ვამბობთ: უნდა ვიხელმძღვანელოთ პროგრამა, რომელიც ხაზს უსვამს კოოპერატიული აპარატის მნიშვნელობას.

ვაუქმებთ რა მას, ვამბობთ: შევგუეთ სასურსათო გაწერის გადასახადით შეცვლას. მაგრამ როდის გავატარებთ ამას? მოსავალზე ადრე ვერ გავატარებთ, ე. ი. რამდენიმე თვის შემდეგ. ერთნაირად მოხდება იგი სხვა და სხვა ადგილებში? არავითარ შემთხვევაში. შიდა რუსეთის, უკრაინის, ციმბირის ერთ შაბლონში მოქცევა და დამორჩილება იქნებოდა უდიდესი სიბრიყვე. მე წინადადებას გაძლევთ, ძირითადი აზრი ადგილობრივი ალებ-მიცემობის შესახებ, გამოტანილ იქნეს ყრილობის დადგენილების სახით. ვფიქრობ, რომ ამის შემდეგ უახლოეს დღეებში, გამოქვეყნდება წერილი ცენტრალური კომიტეტისა რომელიც იტყვის, და რასაკვირველია იტყვის უკეთ, ვიდრე მე ეხლა ვლაპარაკობ: „ნურაფერს დაანგრევთ, ნუ ჩქარობთ, ჭკუას ძალას ნუ ატანთ, იმოქმედეთ ისე, **რომ მაქსიმალურად დააკმაყოფილოთ საშვალო გლეხობა,** და არ დაარღვიოთ პროლეტარიატის ინტერესები. გამოსცადეთ ერთი, გამოსცადეთ მეორე, შეისწავლეთ პრაქტიკულად, სინამდვილეში, შემდეგ გაგვიზიარეთ, გვითხარით ჩვენ, რა მოახერხეთ, რა შესძელით, რა გააკეთეთ, ხოლო ჩვენ დავაარსებთ კომისიას, თუ გნებავთ რამდენიმე კომისიას, რომელიც დაგროვილ მასალას და გამოცდილებას იხელმძღვანელებს იანგარიშებს. ამის შემდეგ, გამოცდილების მიხედვით წინსვლისათვის, ჩ[..] დაგვჭირდება მიღებულ ზომების ათჯერ გაზომვა.

**ეკონომიური შესვენება.**

ჩვენ გვკითხავენ და სურვილიც ექნებათ გაიგონ,—საიდან ვიშოვით საქონელს. დღეს ჩვენ ამას მოვახერხებთ იმიტომ რომ ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა საერთაშორისო მასშტაბით შესამჩნევად გამოკეთდა. როგორ მოვაგვარებთ ამ საქმეს, ეგ სხვა კითხვაა, მაგრამ უწყებული საამისო შესაძლებლობა ყველ გვაქვს.

ვიმეორებ, ეკონომიურ ურთიერთობათა ტიპი, რომელიც ახასიათებს მოკავშირე სახელმწიფოთა ბლოკს, იქ, ზემოდ საშუალებას აძლევს პროლეტარიატის სახელმწიფოებრივ ხელისუფლებას გამართოს თავისუფალი ალებ-მიცემობა გლეხობასთან აქ, ქვემოდ. მე ამის შესახებ წინადაც მილაპარაკია და მინახავს ზოგიერთი დაცინვა. მოსკოვში გახლავთ ინტელიგენტურ-ბიუროკრატიული დიდი წრე, რომელიც ცდილობს შექმნას „საზოგადოებრივი აზრი“. ეს წრე მხიარულობს, შეექცევა სანახაობას: ესეც შენი კომუნიზმი, სწორედ იმ ადამიანის საქმეს ჰგავს, ჯოხის ფეხებზე რომ დადის და სახის ნაცვლად ერთიანად შეხვეულ ბუროს დაათრევს, და ამ კომუნიზმიდან გამოუცნობი სურათი რჩება. ამგვარი ლაღობა არა ერთხელ გვსმენია, მაგრამ იგი ან ბიუროკრატიულია, ან ფრიად არა სერიოზული. რუსეთი ომიდან გამოვიდა ისეთ პირობებში, რომ იგი ყველაზე მეტად იმ ადამიანს ჰგავს, რომელიც სასიკვდილოთ გაუროძგიათ. შვიდი წელიწადი სცემეს მას და მადლობა უფალს, რომ ჯოხით სიარული შეუძლია. აი რა მდგომარეობაში ვართ ჩვენ! აქ, ფიქრი იმის შესახებ, რომ ჩვენ უჯოხოთ გაწოძვრებით, იმას ნიშნავს რომ არაფერი გვესმის და არაფერი გაგვეგება. სანამ სხვა ქვეყნებში რევოლიუცია არ მომხდარა, ჩვენი გადარჩენისა და დაძვრენის პროცესი ათეული წლებით უნდა გაგრძელდეს, და ასეთ მდგომარეობაში არ გვენანება ჩვენი უთვალავი სიმდიდრიდან: ხედლი მასალის დაუშრეტელ წყაროდან გავიღოთ ასეული მილიონები, თუ გნებავთ, მილიარდებიც, ოღონდ კი მივიღოთ მსხვილი მოწინავე კაპიტალიზმის დახმარება. ამას ჩვენ სარგებლით დავიბრუნებთ. ხოლო შენარჩუნება პროლეტარიატის ხელისუფლებისა უმაგალი-

## საქართველოს წარმოებითი პროფკავშირების კონფერენცია.

**18 ივნისი. მეორე დღე.**

**დილის სხდომა.** დილის სხდომაზე თავმჯდომარე სიტყვას აძლევს ამხ. ნაზარეტიანს მოხსენებისათვის.

**საქართველოს პროფკავშირების მორიგი მიზნები.**

**ამხ ნაზარეტიანი:.** „ამხანაგებო ჩემს მოხსენებას წარმოადგენს „საქართველოს პროფკავშირების მორიგი მიზნები". შექმნილ პოლიტიკურ მდგომარეობის გამო აუცილებელათ საჭიროა პროფკავშირების მიზნების საკითხის გაშუქება. ოქტომბრის რევოლიუციამდე პროფკავშირების ბრძოლა უმთავრესად ეკონომიურ ბრძოლას წარმოადგენდა, მაგრამ ამავე დროს წარმოადგენდა პოლიტიკურ ბრძოლასაც. ეკონომიკა განსაზღვრავს პოლიტიკას. პროფკავშირები აწარმოებენ ეკონომიურ ბრძოლას კაპიტალთან. მუშათა კლასი აწარმოებს ბრძოლას ბურჟუაზიასთან და კაპიტალისტებთან და ბუნებრივათ აწარმოებს ბრძოლას იმ პირობების წინააღმდეგ, რომლებშიაც აყენებს მუშათა კლასს გაბატონებული კლასი. როდესაც მუშათა კლასმა ხელში ჩაიგდო ძალა უფლება, დაამყარა პროლეტარიატის დიქტატურა, მაშინ პროფკავშირების მიზნები შეიცვალნენ. პროლეტარიატის დიქტატურა უფლებას აძლევს მუშათა კლასს მოახდინოს ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაცია, და წარმოების ნაციონალიზაცია. თვით მიზნის შინაარსი შესამჩნევათ შეიცვალა. გამოირკვა პროლეტარულ ხელისუფლების, პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცების, დანგრეულ სახალხო მეურნეობის აღდგენის, უმრავლეს მტრებისგან პროლეტარულ მასსების დაცვისთვის წითელი ლაშქრის რიგების მებრძოლ პროლეტარულ ელემენტების შეკრების მიზნები.

აი როგორია პროფკავშირთა მიზნები პროლეტარიატის დიქტატურის ხანაში. ამ მუშაობაში რუსეთის პროფკავშირებმა დიდი როლი ითამაშეს როდესაც სწარმოებდა ბრძოლა მუშათა ხელისუფლების წინააღმდეგ გარედან, და შიგნითაც ღელავდა სამოქალაქო ომის აბობოქრებული ზღვა, მაშინ პროფკავშირებმა თვითონ შეავსეს წითელი ლაშქრის რიგები. მუშათა ბათალიონები, რომ არ ყოფილიყვნენ, შესაძლებელია პროლეტარულ რევოლიუციის ბედი სხვანაირი ყოფილიყო. ყოველივე ასეთი შევსება აღფრთოვანებდა წითელ ლაშქარს და აძლევდა საშუალებას ჩაედინა მთელი მსოფლიოსთვის ცნობილი გმირობა. პროფკავშირების როლი პროლეტარიატის დიქტატურის დროს სხვანაირია და ნაკლებად წააგავს მიზნებს, რომელნიც არსებობდნენ ოქტომბრის რევოლიუციამდე და მიზნებს, რომელიც აღმართულნი არიან ბურჟუაზიულ და კაპიტალისტურ ქვეყნების პროფკავშირების წინაშე. მართალია საბჭოთა ქვეყნების პროფკავშირების მიზნებმა არ შეიძლება გავლენა არ იქონიონ ბურჟუაზიულ და კაპიტალისტურ ქვეყნების პროფკავშირების მიზნებზე. ამ კავშირების წინაშე აღიმართნენ ახალი მიზნები. მაგალითისთვის ავიღოთ ინგლისი ოქტომბრის რევოლიუციამდე და შემდეგ. ოქტომბრის რევოლიუციამდე მუშათა ორგანიზაციები უმთავრესათ ადგენდნენ ეკონომიურ მოთხოვნილებას, თუ ავიღებთ იმავე ორგანიზაციებს საბჭოთა რუსეთის ოქტომბრის რევოლიუციის ეპოქის დროს, ჩვენ დავინახავთ, რომ ამ ამოცანებს და მიზნებს მიემატა კლასის ბრძოლის შემსუბუქების მიზანიც, რომელიც ხდება საბჭოთა რუსეთში. მართლაც ინგლისის მუშები ყველაზედ მძიმე მომენტში აცხადებდნენ გაფიცვას. და ამით გავლენას ახდენდნენ საერთაშორისო პოლიტიკაზე რუსეთის მიმართ. ამ მომენტს განსაკუთრებით აღვნიშნავთ არა მხოლოდ ჩვენ. ამგვარათ დასავლეთ—ევროპაში პროლეტარიატის ბრძოლა გამოვიდა ეკონომიურ ბრძოლის ფორმალურ ფარგლებიდან და გავლენას ახდენდა საერთაშორისო პოლიტიკაზე. ჩვენ ვიცით, რომ საბჭოთა საქართველოს პროფკავშირები ისეთივე როლს ითამაშებენ, როგორც საბჭოთა რუსეთის პროფკავშირები, მართალია მათ არ აქვთ ისეთი დიდი გამოცდილება, როგორც საბჭოთა რუსეთის პროფკავშირებს, ხანგრძლივი ბრძოლის დროს მოპოვებული. და ამავე დროს ჩვენში საბჭოთა საქართველოში პირველი ნაბიჯების გადადგმა გვიხდება ძლიერ რთულ და სხვა და სხვა გვარ პირობებში, რომლებიც განირჩევიან საბჭოთა რუსეთის პირობებისაგან. პროფკავშირებმა ეკონომიურ პოლიტიკის ყველა საკითხების შესახებ უნდა გამოსთქვან თავისი აზრი.

პროფკავშირებმა საბჭოთა საქართველოში უნდა მიიღოს ახლო მონაწილეობა ყველა სამეურნეო ორგანიზაციებში, სასოფლო მეურნეობის უმაღლეს საბჭოდან დაწყებული და თვით წარმოებით გათავებული. ამ ახალ რთულ ეკონომიურ მდგომარეობაში პროფკავშირების მიზანი და როლი იცვლება. ისინი უნდა შევიდნენ წევრების სახით ყველა ეკონომიურ ორგანიზაციებში და მიიღონ მონაწილეობა სამეურნეო გეგმის წარმოებითი პროგრამის გამომუშავებაში და აგრეთვე უნდა გაუწიონ პრაქტიკული ხელმძღვანელობა მათ სისრულეში მოყვანას და განხორციელებას. რამდენათაც საქმე ეხება განსაზოგადოებრივებული წარმოებას, და ამ რიგათ ხელი შეუწყონ რესპუბლიკის ეკონომიურ ცხოვრების საჩქაროთ აღორძინებას. ამ საქმეში პროფკავშირები და ს. ს. ს. ორგანოები ურთიერთ შეთანხმებით აყენებენ საქმიან პირთა კანდიდატურებს. ვიღებთ რა მხედველობაში, რომ საბჭოთა საქართველო არის უმთავრესად გლეხთა ქვეყანა, ერთათ ერთ ეკონომიურ პოლიტიკის სწორ კურსათ უნდა ჩაითვალოს, სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმზე, კონცესიებზე და კერძო მსხვილ მრეწველობათა განსაზოგადოებრივობაზე გადასვლის გარდა, კოოპერატივების და წვრილ წარმოებათადმი დახმარების აღმოჩენა, აგრეთვე გლეხებისადმი თავისუფალ ვაჭრობის ნების მიცემა. წვრილ მწარმოებელთა კერძო მრეწველობა ნება დართულია განსაზოგადოებრივებულ მრეწველობის განვითარებლათ. აქ უნდა მოვიგონოთ ის, რაც სთქვა ლენინმა სპეკულიაციის შესახებ: „სპეკულიაციათ უნდა ჩაითვალოს ყველაფერი ის, რაც გაურბის აღრიცხვას, კონტროლს და თვალყურის დევნებას". მაშასადამე პროფკავშირების როლი არა განსაზოგადოებრივებულ მრეწველობაში გამოიხატება არამედ კონტროლის დამყარებაში. შრომის ნორმის სისწორით დაცვაზე, წარმოებათა მიღებულ ნედლ მასალის აღრიცხვაში და საქონლის გამოშვებაში, იმ საქონლის წილის რაოდენობისა გამორკვევა, რომელიც მუშებმა დაამუშავეს და რომელიც კანონით მათ ერგებათ და აგრეთვე ხელფასის ნატურალიზაციის თანდათანობით გატარებაში. პროფკავშირების არა ნაკლებ მნიშვნელობის მორიგ მიზანს შეადგენს აღმზრდელობითი და კულტურული მუშაობა მუშათა მასსების კულტურულ და პოლიტიკურ დონის ასამაღლებლათ. რომ მოსპონ სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმის უარყოფითი მხარეები, პროფკავშირებმა უნდა აწარმოვონ გაძლიერებული, პოლიტიკური აღმზრდელობითი მუშაობა. ამ სფეროში პროფკავშირები არის კომუნიზმის საუკეთესო სკოლა. პროფკავშირებში სადაც დიდი უმრავლესობა წევრებისა ჯერ კიდევ არ თანაგრძნობენ კომუნისტურ პარტიას, უკანასკნელს მოუხდება აწარმოვოს გაძლიერებული კომუნისტური პროპაგანდა პროლეტარულ მასსების ავანგარდ კომუნისტურ საზოგადოების შეერთებულის ძალით ასაშენებლათ.

ვუწევთ რა ანგარიშს კავკასიის მოსახლეობათა ეროვნულ და სარწმუნოებრივ ცრუმორწმუნეობას, უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს მასსები შესამჩნევათ განსხვავდებიან საბჭოთა რუსეთის მოსახლეობისაგან. მენშევიკებისა, მუსავატებისა და დაშნაკელების მფარველობის ქვეშ იფურჩქნებოდა ეროვნული შუღლი და აქ მოსახლეობა მოწამლულია ეროვნული შხამით. რამდენათაც რომელიმე ეროვნების მუშათა კლასი კულტურის დაბალ საფეხურზე სდგას, იმდენათ, მეტათ ემჩნევა ეროვნული შუღლისაკენ გადახვევა. მუშათა კლასის კულტურის მაღალ დონეზე დგომის მაჩვენებელი არის მათ მიერ პროლეტარულ იდეების შეთვისების უნარი. ენის საკითხი ჩვენთვის არ არის პრინციპიალური საკითხი. ენა არის მხოლოდ იდეათა გამოთქმის საშუალება კომუნიზმის ქადაგება ყველა ენაზედ კარგია. მენშევიკების პრაქტიკამ დაგვანახა, რომ ისინი ამწვავებდნენ ეროვნულ საკითხს და აწარმოებდნენ თავიანთ მეზობლებთან ეროვნულ ომებს. მუშათა კლასის პროფკავშირების გაერთიანების ცხოვრებაში გასატარებლათ პროფკავშირები უნდა გაერთიანდნენ ერთ პროფესიონალურ ორგანიზაციათ და ეს გაერთიანება გადაიქცევა საერთაშორისოთ. თუ ჩვენ, საბჭოთა რესპუბლიკებს, არ გვაქვს ტერიტორიალური საზღვრები, რა განსაზღვრა უნდა არსებობდეს საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის მუშათა პროლეტარულ იდეებისათვის.

საბჭოთა რესპუბლიკები ფიქრობენ გაერთიანებას მათთანაც კი, რომელთანაც ჩვენ გვაქვს ტერიტორიალური საზღვრები, ჩვენ ვაცხადებთ, რომ დასავლეთ ევროპისგან ჩვენ გვაშორებს მხოლოდ ბურჟუაზიული - კაპიტალისტური კედელი, მაგრამ მიუხედავად კაპიტალისტების ასეთი კედლისა, ჩვენ ვუერთდებით ევროპის მუშებს, პროფკავშირების საერთაშორისო კავშირის საშუალებით.

ვათავებ რა ჩემს სიტყვას ვთხოვ იმ ამხანაგებს, რომლებიც გამოვლენ მოხსენების განხილვის დროს, უმთავრესათ შეეხონ სამს დებულებას: რომ პრო ფ.-კავ. უნდა გვიშველონ ეკონომიურ პოლიტიკის სწორე კურსის აღებაში და მუშათა მასსების ნაციონალისტურ მისწრაფებათა დაძლევაში და ხელი შეუწყონ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკის პროფორგანიზაციების გაერთიანებას რუსეთის გაერთიანებულ პროფორგანიზაციებთან; ამასთან შედის რა რ. ს. ფ. ს. რ. პროფკავშირების საერთო ოჯახში, საბჭოთა საქართველოს პროფკავშირები ამავე დროს შედიან მთელი მსოფლიოს პროფკავშირების საერთაშორისო ოჯახში. პროფესიონალურ კავშირების საბჭოში. მე 3 კომუნისტურ ინტერნაციონალთან ერთათ, პროფესიონალურ კავშირების საერთაშორისო საბჭო წარმოადგენს პროლეტართა მრავალ მილიონიან ლაშქრის ძლიერ შტაბს. (ტაში).

მეტად გაცხოველებული ხასიათი ჰქონდა ამხ. ნაზარეტიანის მოხსენების გამო გამართულ კამათს. გამოვიდა 10 ორატორზე მეტი: ვასაძე, მიქელაძე, მოვშენზონი, მეავანაძე, ქურიძე, ტულუში, გაჩეჩილაძე, და სხ. მათ შორის იყვნენ მენშევიკებიც. სიტყვა წარმოსთქვა აგრეთვე ამხ. კირიევმა, რომელმაც ამ უკანასკნელთ გასცა ღირსეული პასუხი.

## ს. კომპარტიის ცენტრალ. სკოლა.

დღეს გაიხსნება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური სკოლა საქართველოს კომპარტიის მოწინავე ამხანაგების ხელმძღვანელობით და მათი დაუღალავ შრომით. ასეთი სკოლის გახსნა საბჭოთა საქართველოში ეს პირველია და მისი გახსნის დღეს ვდღესასწაულობთ დიდის ზეიმით, ასეთი სკოლის გახსნა დიდ გავლენას იქონიებს მუშათა კლასზე და მის წყალობით ბევრი ამხანაგები შეიძენენ პოლიტიკურ განვითარებას. ვადლებ რა თვალს მოწინავე ამხანაგების ენერგიულ და დაუღალავ შრომას როგორც საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ სკოლის დაარსებაში, აგრეთვე მათ დღემდის მოღვაწეობას—საბჭოთა საქართველოს მშრომელთ მასსა კიდევ ხაზ გასმით აღვნიშნავ მათი დიადი შრომით კომპარტიის ცენტრალურ სკოლის დაარსებას დღევანდელ მძიმე მომენტში.

და მათ დიად შრომას ვუძღვნი გულითად მადლობას, და ვუსურვებ მათ შემდეგშიც განაგრძოთ ასეთი დაუღალავი და გაასკეცებული ენერგით შრომა საქართველოს მშრომელთა მასის საკეთილდღეოთ.

ვუსურვებ კომპარტიის ცენტრალურ შკოლის ლექტორთ და მასწავლებელთ ენერგიულად აღესრულებინოსთ თავიანთი მოვალეობა ახლად მოწვეულ კურსანტთა გასანვითარებლათ.

ვუსურვებ ამხანაგ კურსანტებს გამოეჩინოთ ის უდიდესი ნიჭი, რომელიც საჭიროა მათი განვითარებისათვის და შემდეგში კი თვით გაეშუქებინოთ კომუნისტური იდეა და მისი მომავალის მნიშვნელობა მშრომელთა მასის საკეთილ დღეოთ.

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციის შტაბს მე-3 ინტერნაციონალს!

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!

გაუმარჯოს ს. რევკომის თავმჯდომარეს ფილიპე მახარაძეს!

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციის წინამძღოლს ამხანაგ ლენინს!

გაუმარჯოს რუსეთის წითელ არმიის ხელმძღვანელს ამხანაგ ტროცკს.

გაუმარჯოს წითელ ლაშქრის ზრდას და მის გმირულ წინსვლას.

პატარა კურსანტი.

## ქრონიკა

**20 ივნისის უქმობა.** ორშაბათი 20 ივნისი უქმე დღეა. შრომის სახალხო კომისარიატის განკარგულების თანახმად, ამ დღეს წარმოება-დაწესებულებებში მუშაობა არ იწარმოებს.

**ცენტრალური საბინაო განყოფილება და ელექტრონის სადგურთა სამმართველო.** საქალაქო რევკომის თავმჯდომარის ამხ. გეგეჭკორის განკარგულებით ცენტრალური საბინაო განყოფილება, როგორც საქალაქო რევკომის დამოუკიდებელი განყოფილება, უქმდება და ერთ-ერთი შემადგენელ ნაწილის სახით, გადადის კომუნალურ განყოფილების უწყებაში. აგრეთვე ელექტრონის სადგურთა სამართველო გადადის კომუნალურ განყოფილებაში.

## პროფესიონალურ კავშირებში

**ხის დამმუშავებელთა კავშირში**

თითქმის ყველა სახერხი ქარხნისა და ხე-ტყის მოხელეთა სახელოსნოებიდ ნ,

---

თოდ გაღატაკებულ ქვეყანაში, გლეხობის დიდი უმრავლესობით, რომელიც აგრეთვე გაპარტახებულია, შენარჩუნება ამ ძველის უფლებისა, კაპიტალის დახმარების გარეშე, რისთვისაც იგი, რა თქმა უნდა, ასეულ პროცენტებს აგვაძრობს—შეუძლებელია. ეს უნდა გავიგოთ. და ამიტომ, ან ეს ტიპი ეკონომიურ ურთიერთობათა, ან არაფერი. ვინც საკითხს სხვაგვარად აყენებს, მას იოტის ოდენი არ გაეგება პრაქტიკულ ეკონომიკაში და საქმეს თავიდან იშორებს ამა თუ იმ ოხუნჯობით. ასეთი ფაქტი უნდა მივიღოთ, როგორც სრული მოღალვა და მოქანცულობა. რა უნდა მიეცა ჩვენთვის შვიდი წლის ომს, თუ მოწინავე ქვეყნები ოთხი წლის ომის შედეგები დღესაც მძლავრად მოქმედობს.

ხოლო ჩვენში, ჩვენი ჩამორჩენილი ქვეყანა შვიდი წლის ომის შემდეგ სრულიად ქანც გაწყვეტილია; ეს ძალ ღონის დაშრეტა, ეს მდგომარეობა თითქმის ყოველგვარი მუშაობის შესაძლებლობას სპობს. ამიტომ საჭიროა ეკონომიური შესვენება. მე მოგახსენებთ ცნობას, რომელიც მიღებულია ამხ. ლეჟავასაგან. ამ ცნობიდან სჩანს, რომ უკვე ნაყიდია რამდენიმე ასი ათასი ფუთი სურსათის სხვა და სხვა საგნებისა და სასწრაფოდ მოდის ლიტვიდან, ფინლიანდიიდან და ლატვიიდან. დღეს მივიღეთ ცნობა, რომ ლონდონში დამტკიცებულია ხელშეკრულება 18 ნახ. მილიონ ფუთ ნახშირზე, რომელიც ჩვენი დადგენილების თანახმად, უნდა გვეყიდა პეტროგრადისა და საქსოვი მრეწველობის გასაძლიერებლად. თუ ჩვენ მივიღეთ საქონელი გლეხისათვის, ეს, რასაკვირველია, არის პროგრამის დარღვევა, ეს არ არის სწორი; მაგრამ საჭიროა შესვენება, რადგან ხალხი ისე მოქანცულია რომ, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ იმუშავებს.

**საქონლის ინდივიდუალური გაცვლა-გამოცვლა.**

უნდა შევეხო კიდევ საქონლის ინდივიდუალურ გაცვლა-გამოცვლას. თუ ჩვენ ვლაპარაკობთ აღებ მიცემობის თავისუფლებაზე, ეს ნიშნავს საქონლის ინდივიდუალურ გაცვლა-გამოცვლას, ე. ი. ნიშნავს „კულაკების" წაქეზებას. რა უნდა ვქნათ? სანამდვილეს თვალი უნდა გაუსწოროთ, და ვსთქვათ: სასურსათო გაწერის შეცვლა გადასახადით ნიშნავს იმას რომ **შექმნილ ნიადაგზე „კულაკობა" უფრო მეტად გაიზრდება, ვიდრე აქამდე; იგი გაიზრდება იქ, სადაც წინათ ზრდა არ შეეძლო.** მაგრამ ამას უნდა ვებრძოლოთ ამკრძალავი ზომებით კი არა, არამედ სახელმწიფოებრივი ზომებით, თუ შენ შეგიძლია მისცე სახელმწიფოს მანქანა ამით მას ფეხზე აყენებ, და როცა შენ მისცემ მანქანას ან ელექტროფიკაციას, მაშინ ათეული და ასეული ათასი წვრილი „კულაკი" ამოიღრჩობა, მოკვდება. სანამ ამის მოცემა არ შეგიძლიან, მოგვეცი განსაზღვრული რაოდენობის საქონელი. თუ იგი შენს ხელშია, მაშინ ხელისუფლებაც შენს ხელთ არის. მაგრამ შეჩერება მოსპობა, ალკვა ასეთი შესაძლებლობისა, ნიშნავს აღებ-მიცემობის ყოველგვარი საშუალების მოსპობას, ეს ნიშნავს იმას, რომ საშუალო გლეხობა დაუკმაყოფილებელი დარჩება. რუსეთში გლეხობა უფრო საშუალო გახდა და შიში, თითქოს გაცვლა გამოცვლა ინდივიდუალური იქნება სრულიად უსაფუძვლოა. ყველას შეუძლიან მისცეს რამე სახელმწიფოს გაცვლით. ერთი შეძლებს მოგვცეს პურის ზედმეტი ნაწილი, მეორე გაცვლით მოგვცემს ბოსტნის პროდუქტებს, მესამე შრომის ბეგარას. არსებითად მდგომარეობა ასეთია: ან უნდა დავაკმაყოფილოთ ეკონომიურად საშუალო გლეხობა და ვაღიაროთ აღებ-მიცემობის თავისუფლება, ან და რუსეთში, საერთაშორისო რევოლიუციის დაგვიანების დროს, პროლეტარიატის ხელისუფლების შენარჩუნებას, ჩვენ ვერ შევძლებთ ეკონომიურად. ეს ნათლად უნდა შევიგნოთ და არ უნდა შეგვეშინდეს ამის თქმისა. პროექტში თქვენ დაინახავთ ბევრ უთანხმოებას, არის წინააღმდეგობანი და სწორეთ ამიტომ დავსწერეთ ბოლოში: ყრილობა იზიარებს რა არსებითად ცენტრალურ კომიტეტის მიერ წარმოდგენილ დებულებებს სასურსათო გაწერის ნატურალი გადასახადით შეცვლის შესახებ, ავალებს პარტიის ცენტრალურ კომიტეტს სასწრაფოთ შეათანხმოს ეს დებულებანი". ჩვენ ვიცით რომ დებულებები არ იყვნენ შეთანხმებულნი, ჩვენ ვერ მოვასწარით ამის გაკეთება, ჩვენ არ შევხებივართ ამ დეტალურ მუშაობას. დეტალურად გადასახადის ცხოვრებაში გატარების ფორმებს შეიმუშავებს და სათანადო კანონსაც გამოსცემს სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო.

თუ დღეს ამას მიიღებთ, იგი დადგენილ იქნება ს. რ. ცენტრ. აღმასრულებელ კომიტეტის პირველ სესიაში, რომელიც აგრეთვე გამოსცემს არა კანონს არამედ შეცვლილი სახის დებულებას, ხოლო შემდეგ სახალხო კომისართა საბჭო და შრომისა და თავდაცვის საბჭო დებულებას აქცევენ კანონად, და რაც უფრო მნიშვნელოვანია,—მოგვცემენ პრაქტიკულ ინსტრუქციებს. საჭიროა რომ ადგილობრივად შეიგნონ ამის მნიშვნელობა და თანაგრძნობის ხელი გამოგვიწოდონ.

**სასურსათო გაწერის გადასახ დით შეცვლა.**

რატომ დაგვჭირდა ჩვენ სასურსათო გაწერის გადასახადით შეცვლა? სასურსათო გაწერა გულისხმობდა პროდუქტების მთელი ზედმეტი ნაწილის აღებას და სავალდებულო სახელმწიფო მონოპოლიის დამყარებას. ჩვენ არ შეგვეძლო სხვანაირად მოვქცეულიყავით, ჩვენ ვიმყოფებოდით უკიდურეს გასაჭირში. თეორეტიულად ეს სავალდებულო არ არის, **სოციალიზმის თვალსაზრისით სახელმწიფო მონოპოლია გლეხურ ქვეყანაში, საუკეთესო გარდამავალი ზომაა, თუ ქვეყანას მრეწველობა აქვს და მრეწველობა მოქმედობს,** და თუ არის რაიმე რაოდენობის საქონელი შესაძლებელი ხდება გადასახადისა და თავისუფალი აღებ მიცემობის სისტემის შემოღება. ეს აღებ მიცემობა სტიმულია, ამაგულიანებელია და წამქეზებელი გლეხისათვის. მეურნეს შეუძლია და ვალდებულია იზრუნოს და მუყაითად იყოს საკუთარი ინტერესებისათვის, იმიტომ რომ მას არ წაართმევენ ყველა ზედმეტ პროდუქტებს, არამედ აიღებენ მხოლოდ გადასახადს, რომელიც შეძლების დაგვარად წინასწარ იქნება განსაზღვრული. მთავარი ის არის რომ, იყოს სტიმული, იყოს წამქეზებელი მომენტი, პირველი მუჯლუგუნი წვრილი მიწათ-მოქმედები სათვის. **ჩვენთვის საჭიროა სახელმწიფო ეკონომიკის შენება შეუფარდოთ საშუალო გლეხის ეკონომიკას,** რომელიც ჩვენ სამ წელიწადში ვერ შევსცვალეთ და კიდევ ათ წელიწადში ვერ შევცვლით. სახელმწიფოს წინაშე იდგა განსაზღვრული სასურსათო ვალდებულება. **ჩვენი სასურსათო გაწერა გასულ წელს გადიდებული იყო. გადასახადი ნაკლები უნდა იქნეს.**

თუ მოუსავლობა იქნა, ზედმეტი სურსათის აღება შეუძლებელი გახდება, იმიტომ რომ, ზედმეტი საერთოდ არაფერი იქნება; მისი აღება გლეხის პირიდან მოგვიხდებოდა. მოუსავლობის დროს ცოტაოდნად ყველა ვისიმშილებთ და სახელმწიფო გადარჩება; უკეთუ ვერ მივიღეთ რა იმ ხალხისგან, რომელსაც საშუალება არა აქვს მუდამ მაძღარი იყოს, სახელმწიფო დაიღუპება. საშუალო მოსავლიანობის დროს, ზედმეტი სურსათი ნახევარ მილიარდამდე იქნება. იგი დაჰფარავს მოთხოვნილებას და განსაზღვრულ ფონდსაც მოგვცემს. მთელი საქმე იმაშია, რომ მივსცეთ გლეხს სტიმული ეკონომიკის თვალსაზრისით: ჩვენ უნდა უთხრათ წვრილ მეურნეს: შენ მეურნე ხარ, გააჩინე პროდუქტები, სახელმწიფო მხოლოდ მინიმალურ გადასახადს წაიღებს. ამიტომ ჩვენ წინადადებას ვიძლევით, მიიღოთ რეზოლიუცია საფუძვლად და მოითხოვოთ მისი ჩამოყალიბება. ადგილობრივი მუშაკნი შეეცდებიან მის გამალაშინებას და შევსებას. შეთანხმება, ჩამოყალიბება ბოლომდე შეუძლებელია, ეს მიუღწევარი ამოცანაა, იმიტომ რომ ცხოვრება მეტად ჭრელია. გარდამავალ ზომების ძიება ფრიად ძნელი ამოცანაა. რომ ვერ შევსძლოთ ამის სასწრაფოდ და გაუხრელად გაკეთება, ჩვენ სულით არ დავეცემით, ჩვენ ჩვენსას გავიტანთ. ცოტად თუ ბევრად შეგნებული გლეხი გაიგებს, რომ ჩვენ, როგორც მთავრობა, წარმოვადგენთ მუშათა კლასსა და იმ მშრომელ ხალხს, რომელთანაც მშრომელ გლეხობას შეუძლია შეთანხმება (ასეთებია $^9/_{10}$), გაიგებს ამასაც, რომ ყოველნაირი უკან მობრუნება, არის ძველი მეფის მთავრობის კალთაში დაბრუნება. ამას გვიმტკიცებს კრონშტადტის ისტორია: იქ არ უნდათ თეთრ გვარდიელნი, ხოლო სხვა ხელისუფლება არ არის, არც ჩვენი ხელისუფლება სურთ, და ისეთ მდგომარეობაში იმყოფებიან, რომელიც საუკეთესო აგიტაციაა ჩვენ სასარგებლოდ და ყველა სხვა მთავრობის წინააღმდეგ

ჩვენ ამჟამად შესაძლებლობა გვაქვს შეუთანხმდეთ გლეხობას და ეს უნდა გავატაროთ პრაქტიკულად, დაკვირვებით, შეგნებით, მოქნილობით. ჩვენ ვიცნობთ სასურსათო კომისარიატის აპარატს, ჩვენ ვიცით, რომ იგი ჩვენი საუკეთესო აპარატთაგანია. ვადარებთ რა სხვებს, ვხედავთ, რომ იგი საუკეთესო აპარატია და უნდა დავიცვათ, შევინახოთ, მაგრამ აპარატი უნდა დაექვემდებაროს პოლიტიკას. რის მაქნისია ჩვენთვის დიდებული აპარატი სასურსათო კომისარიატისა, თუ ვერ შევსძელით გლეხობასთან ურთიერთობის მოწესრიგება. მაშინ ეს უდიდებულესი აპარატი სამსახურს გაუწევდა არა ჩვენ კლასს, არამედ დენიკინსა და კოლჩაკს. რაკი პოლიტიკა მოითხოვს გადამწყვეტ ცვლილებებს, მოქნილობას და მოფიქრებულ გადასვლებს, ხელმძღვანელებმა ეს უნდა გაიგონ და შეითვისონ. მტკიცე აპარატი უნდა გამოდგეს ყოველნაირი მანევრებისათვის. ხოლო როცა სიმტკიცე ისე სჭარბობს, რომ აპარატი გაქვავდება და მოძრაობას ან მობრუნებას ხელს უშლის, მაშინ ჩვენ ბრძოლას ვიწყებთ სენის წინააღმდეგ. ამიტომ მთელი ძალ-ღონე უნდა მოვიხმაროთ, რომ ჩვენსას მივახწიოთ, რომ აპარატი ნამდვილად დაუმორჩილოთ პოლიტიკას. პოლიტიკა კლასთა შორის ურთიერთობაა, ეს სწყვეტს რესპუბლიკის ბედ იღბალს. აპარატი, როგორც დამხმარე იარაღი, რაც უფრო მტკიცეა, მით უკეთესია და გამოსადეგი მანევრებისათვის. თუ აპარატმა ეს ვერ შეასრულა, იგი არ ვარგა არაფრად და მე მოგიწოდებთ თქვენ, მიიღოთ მხედველობაში მთავარი, რომ გადასახადი მთელი დეტალებითა და განმარტებებით დამუშავებისათვის, მოითხოვს რამდენიმე თვის მუშაობას. ხოლო ეხლა ჩვენ მხედველობაში უნდა გვქონდეს ერთი მთავარი აზრი, რომ ამ საღამოსვე ჩვენ რადიოთი უნდა გადავსცეთ ცნობა მსოფლიოს ყველა კუთხეს, რომ მმართველი პარტიის ყრილობა ძირითად მომენტში სცვლის სასურსათო გაწერას გადასახადით, და მით მთელ რიგ სტიმულებს აძლევს წვრილ მიწადმოქმედებს, მეურნეობის გაფართოებისა და სათესი მიწის გადიდებისათვის, რომ ყრილობა შესდგა რა ამ გზაზე, სცვლის პროლეტარიატისა და გლეხობის ურთიერთობის სისტემას და გამოსთქვამს რწმენას, რომ ამ გზით მიღწეულ იქნება მათ შორის ურთიერთობის მკვიდრი სიმტკიცე.

ხე-ტყის მოხელეთა პროფესიონალურ კავშირში შემოდის განცხადება იმის შესახებ, ვინაიდან არაა საჭირო ხელსაწყო და ნედლი მასალა, ფაბრიკა და ქარხნები გაჩერებულია, ხე ტყის პროფესიონალური კავშირი აღიარებს რა ასეთ მდგომარეობას არა ნორმალურად, რადგან მას მიყავს ნაწარმოების მთელ დარგი დეზორგანიზაციისაკენ, დაადგინა: მოითხოვოს მიღებულ იქმნეს სასწრაფო ზომები, რათა ამუშავდეს ფაბრიკა ქარხნები, საჭირო მასალის მიწოდებით.

---

### მეღვინეთა კავშირში. ხოშტარიას ყოფილ ქარხანაში

მუდმივ კონტროლისთვის პოლიტიკურ კომისრათ დანიშნეს ამხ. ბურჯანაძე, საუბნო კლუბების ცენტრალიზაციის თაობაზე დაადგინეს, სარაიონო კლუბების მეტი ნაყოფიერ მუშაობის მიზნით, იცნან საჭირო კლუბების ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობა მიენდოს მუშათა ცენტრალურ კლუბს, რომელიც მუშაობს მთავარ პოლიტიკურ განყოფილების საკლუბო-საბიბლიოთეკო სექციასთან მჭიდროდ შეთანხმებით.

კავშირის გამგეობამ დაადგინა ყველა თავისი სხდომები, გადაიტანოს წარმოებებში, სადაც ისინი მოხდება ყველა მუშების თანადასწრებით. პირველი ასეთი სხდომა მოხდა შაბათს 11 ივნისს, პირველ საბჭოთა სასოფლო სამეურნეო მანქანების ყოფილ ხოშტარიას ქარხანაში.

---

### მკერავთა კავშირში

მკერავთა პროფკავშირის ქარხნის და ადგილობრივ კომიტეტის კონფერენციაზე 8 ივნისს მოისმინეს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ღვინო-სპირტის განყოფილების გამგის ამხ. გაბაშვილის მოხსენება. მოიხსენია რა, რომ მეღვინეობას ერთი პირველი ადგილთაგანი უჭირავს საქართველოს სახალხო მეურნეობაში, მომხსენებელმა აღნიშნა, სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ მიიღო ყველა ზომები როგორც მევენახეობის განსავითარებლად, ისე ღვინის წესიერად დასამუშავებლად, რაც ადგილობრივ ღვინოს შეაძლებინებს საზღვარ გარეთის ღვინოსთან ცილობას და ამას გარდა, ღვინო გამოდგება სავალიუტო საგნადაც.

რაც შეეხება სპირტის საქმეს, განზრახულია სპირტის გამოხდა სულადისაგან სამკურნალოთ მოსახმარებლად, ხოლო ეგრეთ წოდებულ ჭაჭის არაყის გამოხდა შეიძლება სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს კონტროლით; ამასთან გამოხდილ არაყის მთელი რაოდენობა მოხმარდება ღვინოების გაუმჯობესებას, გადამუშავებულ იქნება საზღვარ გარეთის ნიმუშების მსგავსათ. კონიაკის საქმე საქართველოში სრულიად ახალია, მაგრამ პირობები იმისთანაა, რომ სრული იმედია, იგი საპატიო ადგილს დაიჭერს სოფლის მეურნეობაში და გამოდგება საზღვარ გარეთის ბაზარზე გასატანათ.

---

### თბილისის სპილენძის ქარხანაში.

თბილისის სპილენძის ქარხნის მუშების და მოსამსახურეების კრებაზე წარმოების და შრომის ნაყოფიერების გაძლიერების თაობაზე დაადგინეს: წინადადება მიეცეს ყველა ამხ. მტკიცეთ იდგნენ თავთავიანთ ადგილას და გაუცდელად იმუშაონ. მერე განიხილა რა საკითხი ზოგიერთი ამხანაგების გაცდენის შესახებ, მიიღო რა მხედველობაში, რომ ზოგიერთი შეუგნებელი მუშები არ მოდიან სამუშაოთ და ზოგჯერ თავის ნებით სტოვებენ ქარხანას, დაადგინა: მოუწოდოს ამხანაგებს წესიერებისაკენ; ვინც უპატივსადებ მიზეზით არ მოვა სამუშაოთ, ყოველჯერ ულუფა მოესპოს და ეს ულუფა გაუნაწილდეს უფრო გაჭირვებულთ; მიეცეს წინადადება მეღვინეთა კავშირს შეიმუშავოს პრაქტიკული ზომები შრომის დეზერტირობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

---

### საბჭოთა მუშათა კონფერენცია.

8 ივნისს მოხდა საქართველოს საბჭოთა მუშაკთა პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტების საერთო საქალაქო კონფერენცია, რომელზედაც მოისმინეს მოხსენებები კავშირთა გამგეობის მოქმედებასა და საქართველოს პროფკავშირების ყრილობაზე; აირჩიეს აგრეთვე დელეგატები საქართველოს პროფკავშირთა საერთო ყრილობაზე. ამხ. შარიკიანის მოხსენებიდან გამგეობის მოქმედებაზე, ჩანს, რომ კავშირის მუშაობამ პირველ დღიდანვე დაიწყო განვითარება და ამ ჟამათ კავშირი აერთებს 10,000-ზე მეტს წევრს, დაარსებულმა საინსტრუქტორო განყოფილებამ მოაწყო ადგილობრივ კომიტეტების წესიერი ორგანიზაცია და ხელმძღვანელობა მათი მოქმედებისა. განყოფილებამ უმთავრესი თავისი ყურადღება მიაქცია ადგილობრივ წარმოებით აიჩეკების ორგანიზაციას და აგრეთვე სასადილოების ორგანიზაციასა და მათთვის სანოვაგის ყიდვას.

ჯერ მოაწყვეს 12 სასადილო, ამას გარდა ეკონომიურ განყოფილებას აქვს სპეციალური ფონდი ფეხსაცმელის დასაქირებლად და ტანისამოსის მისაცემათ. ამ ჟამათ არკვევენ რამდენათ და რამდენს უჭირს საპროფესიო და სპეციალური ტანისამოსი. ამავე დროს განყოფილება შეუდგა შტატის განხილვას და გამორკვევას თუ რამდენათ იჩენენ შრომის უნარს. საბჭოთა დაწესებულებებში კულტურული განყოფილება ჯერ მხოლოდ გაზეთებსა და თეატრალურ ბილეთებს ანაწილებს კოლექტივებს შორის. ადგილობრივ დაარსეს კულტურულ განმანათლებელი კომისიები.

ხანგრძლივ კამათის შემდეგ მიიღეს რეზოლიუცია, რომლითაც მოწონებულია გამგეობის მოქმედება. შემდეგ ამხ. ყურულაშვილმა გააკეთა მოხსენება საქართველოს პროფკავშირების ყრილობის შესახებ. ამ მოხსენების შემდეგ კრებამ მიიღო ასეთი რეზოლიუცია: საბჭოთა ადგილობრივ კომიტეტების კონფერენციამ მოიწონა რა ამხ. ყურულაშვილის მოხსენება, ხაზს უსვამს დიდ მნიშვნელობას ყრილობისას, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს საორგანიზაციო და პრაქტიკულ ხასიათის საკითხები, პროფკავშირების მუშაობის მეთოდები და აღნიშნოს ის გზა, რომელიც საქართველოს მუშათა კლასს შეაერთებს ყველა ქვეყნების ძლიერ რევოლიუციონურ მოძრაობასთან.

საბჭოთა მუშაკთა კავშირი, აშენებული წარმოებათა პრინციპებზე, იღებს რა მონაწილეობას სახელმწიფოს საერთო აღმშენებლობაში კომუნისტურ საფუძველზე, მოვალეა სრულიად საქართველოს პროფკავშირების ყრილობაზე დაიცვას ერთიანი რევოლიუციონური პლატფორმა, სახელდობრ შეუერთდეს წითელ პროფკავშირების საერთაშორისო ცენტრს, რომლის შტაბი იმყოფება წითელ მოსკოვში. კონფერენციას მეტად სასარგებლოდ მიაჩნია მუშაობა, შესრულებული პროფკავშირების საბჭოს მიერ. ყველა პროლეტარების გაერთიანება შექმნის მძლავრ ძალას და გააქრობს ყვითლებს.

# პროვინციაში

### დუშეთის მაზრის მდგომარეობა.
### ხუთ აპრილიდან პირველ ივნისამდე

(დასასრული იხ. № 87)

**ხ. ახალგორის სათემოში**

1. ახალგორი განსაკუთრებით დასახლებულია სპეკულიანტ ვაჭრებით, რომლებსაც მთლად დაემალათ საქონელი და მიეკეტნათ დუქნები. მისვლისთანავე ჩვენ მიტინგის ჩატარების შემდეგ მოვიწვიეთ ვაჭრები და მივეცით ბრძანება სამი საათის განმავლობაში გამოეფინათ დუქნებში დამალული საქონელი. მკაცრამ განკარგულებამ იქონია გავლენა და მართლაც დუქნები დაიღო. იმ დღესვე გამოჩნდა ყოველგვარი საქონელი. ახალგორის ზემოთ სამიც ვერსის მანძილზედ მდებარეობს მონასტრის და ლეხურას (ოსების) საზოგადოება საითკენაც მიუვალი გზებია. სამაზრო რევკომის ეკონომიურ განყოფილებამ მიაქცია ამას ყურადღება და სულ ახლო მომავალში ამ ხეობისკენ იქნება გაყვანილი და შეკეთებული ურმის გზა. ახალგორის დედაკაცები არიან ძველებური ზნე-ჩვეულებით გამსჭვალულია და იშვიათად ჩნდებიან მიტინგებზე—ამის გამო იქმნა ერთ საღამოს მოწვეული ახალგორში მცხოვრებ ქალთა განსაკუთრებული კრება. კრებაზე გავაკეთე ვრცელი მოხსენება ქალთა გამანთავისუფლებელი მოძრაობის შესახებ, რამაც მოახდინა შესაფერი დადებითი შთაბეჭდილება.

**6. ბაზალეთის სათემოში.**

ეს სათემო ითვლება რევოლიუციონურ, საიმედო სათემოდ; ბაზალეთის გლეხობამ 1918 წელს პირველმა აფრიალა წითელი დროშა მენშევიკების წინააღმდეგ და იარაღით ხელში ეს გლეხობა შეებრძოლა მენშევიკების გვარდია—ჯარს, ბევრი მსხვერპლი შესწირეს ბაზალეთლებმა მაშინ, და ამიტომ ესე ერთსულოვნათაც შეიკრიბნენ ჩვენის მოწვევით. მიწით ნაკლებად დაკმაყოფილებულნი ბაზალეთის გლეხები შეადგენენ ისეთ რევოლიუციონურ მასიურ ძალას, რომელზედაც ნდობით ეყრდნობა საბჭოთა მთავრობა, ბაზალეთის რევკომი არის სრული გამომხატველი თავის თემის სულისკვეთების და რევოლიუციონური შემოქმედების. ეს რევკომი თვით ხალხის ამორჩეულია და დამტკიცებული სამაზრო რევკომის მიერ; იგი შესდგება იმ ჩვენ ამხანაგებისაგან, რომელთაც მენშევიკურმა მთავრობამ ჯერ დახვრეტა და მერმე კატორღა მიუსაჯეს. მილიციაც სდგას თავის სიმაღლეზე. მენშევიკების დროს ამ სათემოში (ბაგიჭალაში) იყო გახურებული ყაჩაღობა; იქ, სადაც წინეთ უიარაღოთ და „ურისკოთ" გავლა შეუძლებელი იყო, ამ ჟამად თავისუფლად მიმოდის მგზავრი შუაღამესაც კი. მიზეზი ყაჩაღობისა (პოლიტიკური დევნა გლეხობის) მოისპო, და მათთან ერთად მოისპო თვით ყაჩაღობაც. ჩვენ იმ ადგილას დავაყენეთ მილიცილთა „პოსტი".

**7. ფასანაურის სათემოში.**

დუშეთის მაზრა საერთოდ თავის მდებარეობით იყოფა ორ ნაწილათ, ბარი და მთა. ზემო აღნიშნული ექვსი სათემო შეადგენს ბარისას, (ე. ი. მდაბლობ გაშლილ ადგილზე მყოფ სამხრეთ-ნაწილს), მხოლოდ ჩრდილოეთ კავკასიისაკენ, არაგვის და თერგის ხეობები შეადგენენ მთა კლდიან ნაწილს მაზრისას. ამ ნაწილის სივრცეზე მოთავსებულია შემდეგი სათემოები: ფასანაურის, მლეთის, კობის და ყაზბეგის (საქართველოს სამხედრო გზის გასწვრივ). დავამთავრეთ რა მაზრის სამხრეთ ნაწილის დავლა და ყველა საკითხების მოწესრიგება, ჩვენ გავემგზავრეთ ჩრდილოეთ (მთის) ნაწილისაკენ. ფასანაურის სათემო რევკომს შეეკრიფნა მთელი თემი და მიუხედავათ ავდრისა, გლეხებმა (მთიულებმა მაინც მოისმინეს ჩვენი მოხსენება, დიდის ყურადღებით ისმენდენ მიწის დეკრეტს, ვინაიდან მთიანი მდებარეობის სიგრძეზე იშვიათად მოიპოვება სახნავ სათესი ადგილი; აქაური მცხოვრებნი ძლიერ დიდ გაჭირვებას განიცდიან უმიწობის გამო) ხშირია შემთხვევა მათი უფრო გულმაყრელების) ნებაყოფლობითი გადასახლება ყარაიაზში (შირაქში) ჯერ კიდევ ძველი „რეჟიმის" დროს. ჩვენმა მოხსენებამ იქონია დადებითი გავლენა და კრებამ ერთხმათ გამოსთქვა სურვილი მისალმებისა საქართველოს რევკომის და მის ბელად ამხ. ფ. მახარაძისადმი. ადგილობრივ რევკომის თავმჯდომარე ამხ. ფ. ბურდული, კავკავში ნამუშავარი და კარგად გაცნობილი საბჭოთა აღმაშენებლობას, სათემოში ჯეროვან სიმაღლეზე მდგომ მილიციის წყალობით სუფევს სრული სიწყნარე და წესიერება.

**8. მლეთის სათემოში**

მლეთის სათემოში შედარებით ფასანაურის, იმყოფება უფრო მეტ მატერიალურად უნუგეშო მდგომარეობაში მცხოვრებნი წარსულშიაც მუდმივ იკვებებოდნენ მხოლოდ კავკავის სიმინდით. ამიტომ, როდესაც მიტინგზე სიტყვა გავათავე, პირველი მათი კითხვა იყო: „ხომ შეგვიძლიან ეხლა მაინც გადმოვიტანოთ კავკავიდან სიმინდი"-ო. მე მივეცი მათ პირობა ამ საკითხის გამორკვევაზედ და გადმოუტანე კავკავიდან ამხ. კიროვის დახმარებით 2,000 ფ. სიმინდი, რომლის განაწილება დაევალა მლეთის რევკომს. მაგრამ მათდა სამწუხაროდ ნარკომპრომის წარმომადგენელმა ამხ. ს. ჩხუბიანმა განაცხადა, რომ ეს გადმოტანილი სიმინდი თბილისში უნდა წავიღოვო და დამშეული გლეხები დარჩნენ ისევ ულუკმაპუროთ. საჭიროა სასურსათო სახალხო კომისარიატმა მიაქციოს ყურადღება როგორც თბილისის მუშებს, აგრეთვე დამშეულ ღარიბ ღატაკ გლეხებსაც და დააკმაყოფილოს ეს უკანასკნელნი სიმინდით.

გუდაურში არსებული რევკომი გავაუქმეთ, ვინაიდან მისი არსებობა წითელ არმიის გადმოსვლის შემდეგ ზედმეტი შეიქნა; გუდაურის საზოგადოება შეუერთეთ მლეთის სათემოს რევკომს, რომელიც ადვილად უძღვება თავის საქმეს. მისი თავმჯდომარეა ამხ. ვ. ბურდული. გუდაურში კი რევკომის მაგივრად დავსტოვეთ მილიციელთ „პოსტი" სამი კაცისაგან.

**9 კობის სათემო რევკომი**

კობის რევკომი ტერიტორიულად და ადმინისტრაცია-ორგანიზაციულად ექვემდებარება დუშეთის სამაზრო რევკომს და იღებს მისგან როგორც სახარჯო თანხას, აგრეთვე სურსათს, მხოლოდ დანარჩენ კითხვებში დამოკიდებულია სამხრეთ ოსეთის რევკომისაგან, რომელიც აძლევს კობის რევკომს საერთო დირექტივებს; მისი შემადგენლობა დანიშნულია სამხრეთ ოსეთის რევკ. თავმჯდ. ამხ. ა. ატიევის მიერ.

**10 ყაზბეგის სათემო რევკომი.**

ყაზბეგის სათემოს შეადგენს თერგის ორივე ნაწილზე დასახლებულნი მცხოვრებნი; თვით სოფ. ყაზბეგი მენშევიკების მიუდგომელი ბურჯი იყო. გადასვლისთანავე ვიგრძენით, რომ ადგილობრივი სოფ. ყაზბეგის მცხოვრებნი არ გრძნობდნენ არავითარ საბჭოთა ძალაუფლებას და თითქმის ადგილობრივ რევკომს (დანიშნულს ამხ. საშა გეგეჭკორის მიერ) არავითარ ანგარიშს არ უწევდნენ. რევკომის შემადგენლობა მართლაც არ იდგა სრულიად თავის სიმაღლეზედ და ორი თვის განმავლობაში არავითარი ავტორიტეტი მცხოვრებთა შორის არ მოეხვეჭა. გამოველ რა ამ მოსაზრებიდან, მე ყაზბეგის რევკომი მთლიანად გადავაყენე და დავნიშნე ახალი, ჩვენის ამხანაგებისაგან შემდგარი, რომლის თავმჯდომარეთაა ამხ. სუჯაშვილი ვლადიმერი, რუსეთიდან დაბრუნებული ამხანაგი. მიტინგ-კრებაზე სხვათა შორის გამოვიდნენ ჩვენი ოპონენტებიც, მაგრამ მიიღეს ჯეროვანი პასუხი ჩვენგან. მიტინგი დაიშალა მისალმებითი რეზოლიუციის მიღებით საქართველოს რევკომის და მის ბელად ამხ. ფ. მახარაძისადმი. (იხ, გაზეთი კომუნისტი). გამოვცვალე აგრეთვე მილიციის შემადგენლობა და მისი უფროსი. მილიციის უფროსად დავნიშნეთ ამხანაგი ნ. ბადაშვილი, რომელმაც ამ მცირე ხანში გამოიჩინა საქმის კარგა ცოდნა და საჭირო ადმინისტრატიული ნიჭი,

**სამაზრო რევკომის განყოფილ. მუშაობა.**

ჩვენმა მოგზაურობამ მთელ მაზრაში გასტანა თითქმის სამი კვირა. დაბრუნებისთანავე ქ. დუშეთში ყურადღება მივაქციე რევკომის განყოფილებათა მუშაობის გაცხოველებას. მოწყობილია უპროდკომი, რომელმაც აამუშავა მაზრაში არსებული კოოპერატივები და ყველა სათემოებში დანიშნა თავისი რწმუნებულნი.

ეკონომიური განყოფილების სატეხნიკო დარგი, ამ ჟამად ამთავრებს ელექტრონის სადგურის გამართვას ქ. დუშეთში და სულ მოკლე ხანში (ორ კვირაში, კულტურულათ ჩამორჩენილი ბნელი დუშეთი განათდება ელექტრონით; აამუშავეთ აგრეთვე მატორიანი წისქვილები, რომლიდანაც ვასარგებლებთ მილიციას, ვინაიდან სამაზრო მილიცია იმყოფება უკანასკნელ მდგომარეობაში ტანსაცმელის მხრივ; სამაზრო რევკომმა გადასდო საჭირო ფართალი საცვლების და ტანისამოსის შესაკერათ მათთვის; აგრეთვე ტყავი ფეხსაცმელის დასამზადებლად მილიციისთვისვე. უკვე ასი კომპლექტი ამ ტანთსაცმელისა დამზადებულია ადგილობრივ საბჭოთა სახელოსნოს მიერ. კულტურული მუშაობა პროგრესიულათ ფართოვდება, გავხსენით ორთვიანი პოლიტიკური კურსები პარტიული და საბჭოთა მომუშავების მოსამზადებლად. დაქირავებულია თბილისიდან მსახიობთა ჯგუფი, რომელიც ჰმართავს უფასოთ ქ. დუშეთში და მაზრის ყველა კუთხეებში წარმოდგენა—კონცერტებს.

**საერთო შთაბეჭდილება.**

საერთო პოლიტიკური მდგომარეობა მაზრაში ფრიად მაგარია მხოლოდ სურსათის მხრივ იგი განიცდის საგრძნობ ნაკლებულობას. მიმოსვლის საშუალება სამაზრო რევკომს არა აქვს, ერთი ავტომობილი იმყოფება რემონტში თბილისში, მეორე თითქმის მთლად ჩხუბიანის მიერ დამტვრეულია. საჭიროა ამ ნაკლს მიექცეს ყურადღება, ვინაიდან აფერხებს მჭიდრო კავშირს ცენტრთან. მთელი სახნავი მამულები დათესილია და იმედია, რომ მომავალი საგრძნობლად შეუმსუბუქებს გლეხობას კრიტიკულ ეკონომიურ მდგომარეობას.

სამაზრო რევკომმა ამ ჟამად შექმნა და აამუშავა შემდეგი განყოფილებები: 1) შინაგან საქმეთა რევკომის სამმართველო, 2) განათლების, 3) ჯანმრთელობის, 4) სასურსათო (უპროდკომი), 5) სამხედრო (სამხედრო სამაზრო კომისარიატი), 6) კომუნალური, 7) სოციალურ უზრუნველყოფა, 8) საფინანსო და 9) იურიდიული. აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს მუშათა და გლეხთა ინსპექციის განყოფილების დაარსება. მიუღდავად ჩემი არა ერთხელ მიმართვისა ინსპექციის სახალხო კომისარიატისადმი რომ გამოგზავნონ ამის მოსაწყობად მომზადებული და საქმის მცოდნე ამხანაგი, ვინაიდგან ადგილობრივ [illegible] ინსპექციის დაარსება ყოვლად შეუძლებელია, ჯერ არავითარი [illegible] მოგვსლია. არსებობს აგრეთვე შრომის განყოფილება; საჭიროა მიექცეს ს. პ. კ. ს. მიერ ყურადღება დუშეთის მაზრაში გამოგზავნონ ინსტრუქტორები პროფესიონალურ კავშირების დასაარსებლად.

საგრძნობი ნაკლებულობაა პარტიულ ამხანაგებისა, თბილისიდან ორი თვის განმავლობაში არ ყოფილან გამოგზავნილი ამხანაგები, რომლებიც ხალხს ჩააბამდენ საბჭოთა და პარტიულ მუშაობაში ამის გამო თითქმის ყველა საბჭოთა დაწესებულებები ივსება სხვა პარტიის წევრებით ან და სრულიად უპარტიო პირებით, გარდა მათი გამგეობისა. იმედია, რომ მუშაობა აქ აღნიშნულ მრავალ ნაკლს მიაქცევს ყურადღებას და დაკმაყოფილებს მაზრის ყველა საჭირბოროტო საკითხებს რის წყალობითაც დუშეთის მაზრა ადვილად გადიქცევა რევოლიუციის მიუდგომელ და მაგარ ბასტიონად.

დუშეთის სამაზრო რევკომის თავმჯდომარე დ. აფციაური.

---

— საქართვ. კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტი მოთავსებულია რუსთაველის პრ., № 22.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22. ტელ. 5—74.

— 1-ლ რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136, თეატრი „[illegible]", ტელ. 1—33.

— მე-2-ე რაიონის ბიურო—[illegible]ლის ქ. № 87. ტელ. 5—69.

— მე-3-მე რაიონის ბიურო—[illegible], კახეთის შოსე. 5—58.

— მე-4-ე რაიონის ბიურო—[illegible] ქ. 29 „მუშათა კლუბის" შენობაში. 9—53.

მე-5-ე რაიონის ბიურო—[illegible]

— საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცეკა—რუსთაველის პრ. 22.

სარედაქციო კოლეგია.

---

## ს. კ. პ. მე-4 რაიონის პრეზიდიუმისაგან

19 ივნისს დილის 11 საათზე არტისტიული საზოგადოების საკონცერტო დარბაზში შესდგება საქართველოს კომუნისტურ პარტიის მე 4 რაიონის ყველა წევრების და კანდიდატების საზოგადო კრება,

დღიური წესრიგი: 1. კონფერენცია საქართველოს მწარმოებელთა კავშირისა.

2. დამტკიცება წევრებისა და კანდიდატებისა. დასწრება აღნიშნულ კრებაზე, სავალდებულოა ყველა წევრებისა და კანდიდატებისათვის.

---

## ს. ა. კომკავშირის ც. კ.

აცხადებს, რომ ს. კომკავშირის გორის ორგანიზაციიდან გადაყენებულია სამუშაოდ ან, დეზორგანიზაციულ მუშაობისათვის ამხ დეოდორიძე და სრულიად გამორიცხულია კავშირიდან: ონიაშვილი, ალგუზაშვილი, ოგანეზოვი, მახარობლიძე, კეპაშვილი და გაჩეჩილაძე. აცხადებს რა ამას, ც. კ. სთვლის გაუქმებულად ზემოაღნიშნულ პირთა მანდატებს.

მდივანი მ. ძნელაძე.

საქმეთა მმართველი ხტ. ახილოგი.

---

## საქართველოს კ. პ. თ. კ. ამით აცნობებს

სარევიზიო კომისიის წევრებს: დოგბაშევს, მარკაროვს და ავაკოვს, რომ ორშაბათს 20 ივნისს თეკას შენობაში დილის 10 საათზე, დანიშნულია სარევიზიო კომისიის სხდომა. ამხანაგების დასწრება აუცილებელია.

საქართველოს კ. პ. თ. კ.

---

## ახალგაზრდა კომუნისტთა კონფერენცია

დღეს, ა. წ. 19 ივნისს დილის 10 საათზე „სატირ-აგიტის" შენობაში (ყოფილი სახლი მელიქ-ხაზარიანის) შესდგება 1-ელი საქალაქო კონფერენცია საქ. ახ. კომ. კავშირის თბილისის ორგანიზაციისა.

საქალაქო კონფერენციის დღის წესრიგი:

1. მიმდინარე მომენტი.
2. ც. კ. მოხსენება.
3. თბ. კომ. მოხსენება.
4. მორიგი ამოცანები საქ. ახ. კომ. კავშ. თბილ. ორგანიზაციისა საზაფხულო პერიოდში სამუშაოთ.
5. მეურნეობის აღმშენებლობა.
6. ჩვენი მონაწილეობა საქართველოს სახელმწიფოებრივ მეურნეობის აღმშენებლობაში.
7. ორგანიზაციული აღმშენებლობა.
8. თბილისის კომიტეტის არჩევნები.
9. მიმდინარე საქმეები.

---

## ცენტრალური პარტიული სკოლის გახსნა

დღეს, 19 ივნისს, დილის ათ საათზე ქალთა მეშვიდე გიმნაზიაში (ერმოლოვის ქუჩა, № 13) ხელმძღვანელ პარტიულ ორგანიზაციებისა და საბჭოთა დაწესებულებების წარმომადგენელთა თანადასწრებით გაიხსნება ცენტრალური პარტიული სკოლა.

შესავალი სიტყვა-ლექციას წარმოსთქვამს ამხ. ფილიპე მახარაძე.

---

## კურსები მუშებისთვის

კვირას, ივნისის 19 ს, (არტისტიულ საზოგადოების) ქართულ დრამის საკონცერტო დარბაზში, დილის 11 საათზე, ხელოვნების განყოფილებასთან არსებული სალიტერატურო განათლების სექცია გახსნის კურსებს მუშებისათვის. ლიტერატურის მნიშვნელობის შესახებ სიტყვებს წარმოსთქვამენ:

სალიტერ. განყოფ. გამგე ამხ. აკაკი პაპავა

ლიტ. განათ. სექციის გამგე ამხ. ვახტანგ კოტეტიშვილი.

სომხური სექციის გამგე ამხ. ოვანეს თუმანიანი,

რუსული სექციის გამგე ამხ. სერგი რაფალოვიჩი.

შესვლა ყველასათვის უფასოა.

სალიტერ. განათლების სექციის გამგე ვახ. კოტეტიშვილი.

---

## ჟურნალი „ლახვარი"

ახლო მომავალში გამოვა სალიტერატურო და იუმორისტული ჟურნალი „ლახვარი".

მასალები უნდა გამოიგზავნოს პოლიტიკურ განათლების სააგიტაციო განყოფილებაში (ლორის—მელიქოვის ქ. № 5).

ტირაჟი 5000

საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა კრუზენშტერნის ქ. № 4.